

შინაური სანიჰია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფილიალი
თბილისი




სახელმწიფო გამომცემლობა. 1926წ.

N:6

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ზაფხული სოფელში, — ლექსი კ. ლორთქიფანიძისა	1
2. ახალი ცხოვრებისაკენ, — მოთხრობა კ. ლორთქიფანიძისა	1
3. ზღვა აღელვდა, — ლექსი დ. ელიოზიშვილისა	9
4. არაზილო (ნაწყვეტი დაუბეჭდავი მოთხრობიდან), — ზ. თურდოსპირელისა	10
5. თრიალეთის კალთებზე (დასასრული), — ს. ერთაწმინდელისა	14
6. ღამე, — ლექსი გ. რ—შვილისა	19
7. ქართლიდან ყელის ტბამდე, — ნ. კეცხოველისა	19
8. საზაფხულო მუშაობისთვის, — შანისა	25
9. როგორ მოვაწყეთ ერთი შესანიშნავი დემონსტრაცია, — თარგმანი უუუუსი	26
10. გაზეთის ფურცელი, — პელერმანისა, თარგმანი თ. ბ.	28
11. საქარის წარსული, — დ. კარბელისა	32
12. გასართობი და ახსნა — უდაზე.	



ქართული
საბჭოთა




წელიწადი 3
№ 6

1926

1136111

განათლების მინისტრის და სსიპ. ლ. კომპოზიტორის ცენტრის
ლ. კომპოზიტორის შავშებისათვის.



ახალი სმოკრაპისკან

ზაფხული სოფელში

მოვიდა ზაფხულის ღდეები ელვარე,
აღმურთი ედება მიწას და ცას;
ბიბინებს ყანები ზღვასავით მღელვარე,
და დილა ასხურებს მოვერცხლილ ცვარს.

ლურჯია უღრუბლო ყოველი საღამო,
და მთიდან ნიაფი შრიალით ჰქრის,
ირხევა ფოთლები; თუ მთვარე ამოვა,
სხივებს ხეებიდან ხეებზე ჰყრის.

მოჰკრებენ საქონელს უვილით ბავშვები,
ათევენ ღამეებს მდინარის პირს;
იყვილებს მამალი და გრძელი შარები
ეძლევა დილა მდე უდარდელ ძილს.

ღამეა, მოისმის კვილი ჰოტების,
და ძაღლის ღმუილი თუ მისცემს ბანს;
ირგვლივ სიჩუმეა, სანამდე გორები
არ ამოაგდებენ ცეცხლოვან თვალს.

და ისევ მზე არის და ისევ აღმური,
და ისევ ურმული აღვიძებს ველს,
მოისმის ყანიდან გუგუნე ნადურის
და მარდად იქნევენ ოფლიან ხელს.

ჩრდილოში, მუხასთან, ბავშვები დარბიან,
მისდევნენ ჰეპლის და კალიის გუნდს;
ირგვლივ ყოველივე ისეთი კარგია,
რომ ზღვა სიხარულით ამდერებ გულს!

კ. ლორთქიფანიძე

— მზად არის!...
— ასწიეთ ღუზა! — მოისმა ბრძანება.
რამდენიმე წყვილი ხელი მძლავრად დაიჭიმა და
შემოეხვია ჩარხის სახელურს.
— ჰა, ერთად! — შესძახა ვილაცამ.
დათვივით აბურღღუნდა ხავსით და ზღვის ხო-
ქოებით დაფარული ღუზის ჯაჭვი; ნელ-ნელა იწვედა
ზღვის ფსკერიდან და რამდენიმე წუთის შემდეგ მიეკ-
რა გემს.

...
— თამბაქო, — ანიშნა ჩუმად, ტუჩთან ორი თი-
თის მიღებით, ზანგმა მეზღვაურმა და მოიკეცა გე-
მის ცხვირზე დამსხდარ ამხანაგებთან.
სწევნ თამბაქოს ყინით.
ლანდებივით მოსჩანს მათი სახე ბოლოში.
არ ირხევიან.
მათ თვალებს უნახავს ქარიშხალი, გრიგალი,
უნახავს ზღვის ღელვა, როცა გემს ნაფოჭივით ათა-
მაშებენ ზვირთები. უნახავთ ისეთი წუთი, როცა არ
მოსჩანს არაფერი, ნისლს გარდა, როცა ქარი ჰკი-
ვის, და გაშმაგებული ზვირთები ღმუიან, სიკვდილს
ემუქრებიან მეზღვაურებს.

მათ უნახავთ ყოველი მხარე: ცხელი ინდოე-
თი და ცივი ისლანდია, ყინულის ოკეანე, სადაც
თეთრი დათვებივით სტურავენ ყინულის მთები;
უნახავთ აფრიკის უდაბნო, სადაც ცხოვრობს ვე-
ლური ხალხი და ცხვირში ძვლები ჰკიდათ, უნა-
ხავთ მხარე, სადაც ჰყვავის ჩაი და ბრინჯი, უნახავთ
ყოველი მხარე ამ გემიდან, რომელსაც ისე შეეჩვიენ,
როგორც საკუთარი გულის ცემას.

მეზღვაურებმა იციან ყოველი ენა, მაგრამ არც
ერთს არ ხმარობენ...

არც ესაქიროებათ: მათ თვალებით ესმით უფრო-
სის ბრძანება, თვალებით ესაუბრებიან ერთმანეთს,
როცა ზღვა გრგვინავს და არაფერი არ ისმის, თვა-

ლებით სთხოვენ ერთმანეთს შველას, თვალებით გრძობენ სიხარულის და სიკვდილის მოახლოვებას მათი თვალები ორბივით სწრაფია...

და ეხლა ეს მოუსვენარი თვალები გარინდებულა. ქუთუთოები ფართოდ გაუღიათ და ხარბად გასცქერიან ნავსადგურს.

გემი მობრუნდა. საქესთან წყალი შხაფუნობს. თანდათან ეფარება თვალებს ნავსადგური...

საწვიმარ ღრუბელივით ეკუმშებათ გული მეზღვაურებს...

რალაც გამოუთქმელმა სევდამ მოიკალათა მათ გულში...

ბრიტანეთის სავაჭრო გემი „კოლონია“ სამი დღე იდგა ბათომის ნავსადგურში; მეზღვაურებს ერთხელ მისცეს მიწაზე ჩამოსვლის უფლება და მათ გაიგეს, ნახეს ყოველივე. ნახეს ის, რაც მათ სამშობლოში მხოლოდ ოცნება იყო: ნახეს თავისუფლების მხარე, სადაც მზე ყველასათვის ანათებს, სადაც ძმობაა, სიყვარული... სადაც არ არის ჩაგვრის და მონობის მძიმე უღელი.

ნახეს და გული აუთრთოლდათ, უცნაურმა ტკბილმა სურვილებმა მოიკალათა მათ გულში...

აი, ის მაღალი ზანგი, რომლის სამშობლოში ახლა პალმები და ბანანები ჰყვავის, ესაუბრა იქაურ მეზღვაურს.

ზანგის გაოცებას არ ჰქონდა საზღვარი, როდესაც გაიგო, რომ მეზღვაურები აქ ქალაქის საბჭოს წევრებიც არიან.

ზანგი არ უჯეროდა და იკითხა:

— არ იპარებიან გემებიდან?

იქაურმა მეზღვაურმა გაიღიმა და უთხრა:

— გასაპარავი არა არის რა! ჩვენში ყველა თანასწორი უფლებით სარგებლობს, აქ მეზღვაურები და, საერთოდ, ყოველი მშრომელი თავის საქმეს თვითონ განაგებს!

გაოცდა ზანგი და გაახსენდა თავისი ზურგი, წკებლებისგან დაღურჯებული.

ის მოხუციც იყო იქ.

ახლა მოხრილია, როგორც გემის ანძა ქარში. მას უფროსები „ბებერ ძალს“ უძახიან...

იქ კი ადამიანები ერთმანეთს „ამხანაგო“-თი მიმართავენ.

მწარედ ჩაეცინა.

— ამხანაგო!!

ჰკითხეთ მის უფროსებს მისი ამხანაგად წოდების შესახებ.


ამხანაგად მას გემზე ძალდი ჰყავს: როცა ცივა და ყინვა მისი საკუჭნაოს ფანჯრის მინებს ხეთქავს, მაშინ ძალდი ეკვრება და უთბობს გათოშილ ძვლებს.

უცქერიან ნავსადგურს, ეშინიათ არ დაარღვიონლი მეყურაობა.

მორიგეობიდან უკვე გამოიცვალენ, მაგრამ ძილი არავის არ სურს. რალაც ტკბილი ჟრუნტელი უვლით ტანში.

— მეზღვაურები და, საერთოდ, ყოველი მშრომელი თვითონ განაგებს თავის საქმეს! — წარმოსთქვა თითქო ბურანში ზანგმა.

— ჩვენ? — შეეკითხა მოხუცი. პასუხად ტირილი მოესმათ.



იუნგა სცემეს: ნა პირზე გაპარულიყო დაუკითხავად

— ვინ სტირის!

— იუნგა! სცემეს: ნაპირზე გაპარულიყო დაუკითხავად.

იუნგა ჩინელი იყო, ობოლი; პეი ერქვა სახელად.

ახლა გასულიყო მალა ანძაზე და სტიროდა. ნავსადგური თანდათან იმალებოდა.

ხენეშით მიეპარებოდა გემი ზღვის გულისაკენ...

ვარსკვლავებით მოფენილ ცას ეალერსებოდა ზვირთები.

მიდიოდა გემი და ტკიოდათ გული მეზღვაურებს.

იქ მშრომელები თვითონ განაგებენ თავიანთ საქმეს...

აქ კი...

ყველა სდუმდა...

დაბერა სიომ...
ნელ-ნელა დაიშალენ საწოლებსიკენ...

2.

ანძახე ქორივით გადმოძდარიყო პეი.
გასცქეროდა ქალაქს.
ჩქარი სუნთქვისაგან პატარა თითებს კუმშავდა.
დაავიწყდა ტკივილები.
მისი ყვითელი სახე მთვარეს უფრო გაეყვით-
ლებია.
ტკივილი? რა არის ტკივილი, ახლა არც გრ-
ძნობს იმას!...

იმ ქალაქის ქუჩებში მიღებულმა სიამოვნებამ
უკვე გამოისყიდა მისი ტკივილი.
ო, ნეტავ მას მხოლოდ ასეთი დანაშაულის-
თვის სცემდენ!...
მაშინ პეი ცემას არაფრად ჩააგდებდა.
ახლა ის თითქმის ბედნიერია.
მას რომ დედა ჰყავდეს, რამდენ ახალ რამეს
უამბობდა...

მოუყვებოდა იმ ბავშვებზე, წინ რომ დოლი მოუ-
ძლოდათ და მღეროდენ.
თვალეები როგორ უბრწყინავდათ!
მათ, ალბად, არასოდეს არ სცემენ, თორემ ისე-
თი მხიარულები რათ იქნებიან?
ნეტავ სად მიდიოდენ?
რათ ეცვათ ასე ერთნაირად ყველას?
ვინ არიან?
რას მღეროდენ?—არ აძლევდა კითხვები პეის
მოსვენებას.

ვერ პოულობდა პასუხს...
თვალეებიდან ორი ცრემლი უნებურად გადმო-
გორდა.
გაახსენდა, თუ სად არის, გაახსენდა ოფიცერი,
რომელმაც სცემა დღეს.
ქროლა თვალეები ძირს დახარა და მძიმედ აპო
იხენეშა.

შორს არის ეხლა მისი სამშობლო, შორს...
თავი ჩაქინდრა და მოგონებებში გაეხვია...
უცებ გაიმართა, თვალეებში ელვამ გადაურ-
ბინა.

ხელი პატარა გულზე დაიდო. საშინლად
უცემდა...
რამ შეაშფოთა პატარა?
უნდა გაიქცეს აქედან, უნდა გაიქცეს მათთან,
რომლებიც ისეთი მხიარულები და ბედნიერები არი-
ან.

აქ: ცემა, წვალემა, შიმშილი...
იქ: ხალისი, სიცილი, ბედნიერება... ბედნი-
ერება სუფევს იქ...

უნდა გაიქცეს, მონახავს მათ, იცხუვრებს მათ
თან...

გემი ჯერ კიდევ ახლოს არის ნაპირთან;
მან კარგი ცურვა იცის.
მიახწევს ნაპირს, მიახწევს.
ირგვლივ სიჩუმეა; გუშაგი თვლემს...
სუნთქვა შეუგუბდა, გაშალა ხელი და...
მძიმედ დაეცა ზვირთებს.
მთვარეს წამოეპარა ღრუბელი და შავ ნაბადში გა-
ახვია.

3.

— დასწყევლოს ეშმაკმა, რა ჯოჯოხეთური სი-
ბნელეა!—წამოიძახა სიბნელეში მირზამ და ნიჩბის
მარჯვე მოქნევით შეასრიალა ნავი ზვირთებზე.

— უკეთესია, ჩაილაპარაკა მეორემ, რომელიც
გაშეშებულ თითებს ხვევდა საქის ბორბალს და არ
ანებებდა ზვირთებს.

— სიბნელე უკეთესია, მოდარაჯე ნავებს იო-
ლად გავეპარებთ!

ნავზე მღუმარება ჩამოვარდა.
ისმოდა ქარის ზუილი და აფრის ფრიალი.
მირზა კონტრაბანდისტია.

ქსოვილებით დატვირთული ნავი ქორაზის სა-
თავისკენ მიეშურებოდა.

— მოწინავე მოდარაჯე ნავებს უკვე მშვიდობით
ავუარეთ გვერდი, ახლა უკანასკნელი სადარაჯოა;
მასაც თუ უვნებლად გავცდით, მერე აღარაფერი
გვიშავს!—ფიქრობს მირზა და გამჭრიახი თვალე-
ბით სიბნელეს ზვერავს.

— აფრები დაუშვი, ქარმა იმატა; ნავს გადა-
აბრუნებს!

წინა იალქანი მარაოსავით ჩაიკეცა.
აქაფებული ზვირთები ასკდებიან ნავს, დაფერ-
დავენ, თითქო სურთ ჩაყლაპონ შეუპოვარი მგზავ-
რები; მაგრამ ნიჩბის მარჯვე მოქნევა—და ნავი ისევ
ზვირთებზეა...

მატულობდა ქარი, მხუილით გადაბობდა ზღვა-
ზე და აგორებდა მთების ოდენა ზვირთებს...
ნავი შურდულივით მიჰქროდა.

4.

დაჭრილ ფრინველივით ფართხალებს პეი.
დაიღალა.
შორს არის ნაპირი;
პეის პატარა ფეხები მიწას ეძებს, უნდა დადგეს,
მაგრამ ამაოდ.
იმ წამსვე გადმოეხურება საბანივით ზვირთი.
დაიღალა, პატარა მკლავებით ვერ უძლებს
გაცოფებულ ზვირთებს.

ებრძვის, ებრძვის ამოდ...
შორს არის ნაპირი...

მოქნეულ ხელს ზვირთი უკანვე იტაცებს...

სუნთქვა დაუგუბდა, თავბრუ ეხვევა.


თითქო ავად არის და დედა ახურავს საბანს,

ისე თბილა...

თითქო ანძაზე ჰკილია, მაგრამ ძირს რათ იწევს?

აი, სულ დაბლა მიდის...

არ უნდა ძირს ჩამოსვლა, ძირს ოფიცერია!..



იუნგა აიყვანეს ნავზე

მკლავები მაგრად შემოხვია ანძას, მაგრამ ანძა
საღლაც გაჰქრა და ანძის მაგიერ ზვირთს ეხვევა.

არა, ის უთუოდ ავად არის...

უეცრად დაახველა, თითქო რაღაც მლაშე და-
ალევიწეს...

— წამალია, გაიფიქრა პეიმ...

სასთუმალთან ვიღაც სდგას, მგონი დედაა,
ვერ არჩევს.

— მოგიხდება, შვილო, დალიე! — ეუბნება პე-

იმ...

პეი დალევს, როგორ არ დალევს წამალს...

მას იქ, საღლაც, უნდოდა წავსვლა...

ეჩქარებოდა...

უცებ ავად გახდა, უნდა მორჩეს...

პეიმ უკანასკნელად გააღო თვალები.

მთვარე პიონერივით იღიმება და უცქერს მას.

— აი, მასთან, მასთან მიდიოდა! — გაახსენდა
პეის.

— დალიე, მოგიხდება! — ლუკლუ-
კობს ზღვა...

— მაცაღეთ, მაცაღეთ, ყველას ერ-
თად ვერა! — ფიქრობს პეი და იგრძნო,
თითქო სასთუმალი გამოაცალეს.

ირგვლივ კი თბილა; თითქო პეის
დედის უბეში უდევს თავი.

— დალიე, მოგიხდება! — ლუკლუ-
კობს ზღვა.

— ასე ვერა, გადავბრუნდები! —
ეუბნება პეი და ძლიერ სწუხს, რომ არ
უჯერიან...

— დალიე, დალიე...

— ჰო, ჰო, დავლევ, დავლევ...

და პეიმ ბარტყივით დააღო ხახა...

ავორებული ზვირთი გადმოეხურა
თავზე...

მთვარემ, ღრუბლების ჩვართ შუბლ-
შეკრულმა, მორიდებით წაიჩურჩულა:

— სად არის პეი?

— ჩაიყურა, ჩაიყურა! — მსუილით
უპასუხა ქარმა.

5.

— კაცი ბაქანთან! — წამოიძახა მირზამ
და საქეზე მოდებული სხეულისაკენ გა-
დაიხარა...

დაავლო ხელი და გათოშილი სხე-
ული ნავზე ამოათრია...

— ჩინელია, სთქვა მეორემ, როცა

კეფაზე ვაზივით დაწნული თმის ნაწნავი დაინახა.

გავიდა რამდენი წუთი.

მირზა მზრუნველობით თავს დასტრიალებდა
პეის.

თავდაღმა დაჰკიდა, არხია;

პირში რაღაც ზეთის მაგვარი ჩაასხა.

შემდეგ გულაღმა დააწვინა და ყური დაადო
გულზე...

— სუნთქავს! — წამოიძახა უცებ.

ფარაჯა გადააფარა და ისევ ნიჩბებს მიუბრუნ-
და...

— რათ გინდა?... ზედმეტი ბარგია! — სთქვა მეორემ.

— გამოგვადგება, — წაილაპარაკა მირზამ და სიბნელე დაზვერა...

საშიში არაფერი სჩანდა...

ნელ-ნელა იწვედა პეის გული და უცებ სუსტად ამოიოხრა.

ნავი მიჰქროდა.

თენდებოდა...

6.

გადის დღეები.

ერთფეროვანია პეის ცხოვრება.

დილიდან საღამომდე დაჰყავს ნავი სანაპიროზე და წკრიალა ხმით გაჰკვივის:

— ნავი, ნავი... სეირნობა!..

დილიდან საღამომდე აქნევს პეი ნიჩბებს და ასეირნებს ხალხს...

ზღვის ნიავი ჩასჩურჩულებს ყურში ალერსს.

პეის უყვარს ზღვა, რადგან ის მოჰტავს ჩაის ბაღებს, როცა ირხვეა.

— ზღვა ჩემი დედაა ფიქრობს ხშირად.

როცა დაღამდება, მიცურავს ნავით ქოროხის სათავესთან.

იქ კლდეზე აბამს ნავს და კურდღელივით ბუჩქებიდან ბუჩქებზე ხტომით მირბის სახლისაკენ.

გადაუხვევს დიდ გზას და იქვე ტყის პირად მდებარე ნახევრად ჩამონგრეულ ქოხში შეაღებს კარებს.

აქ ცხოვრობს მირზა...

დილიდან საღამომდე ის სახლშია, სძინავს, და როცა პეი დაბრუნდება, მაშინ მიდის სადღაც...

ბრუნდება დილით და მოაქვს სავსე ტომრები.

მოდინს სხვებიც, ხსნიან ტომრებს.

ტომრებში ფართალია, ყუთები, შუშები...

უცნობი ხალხი აძლევს მირზას ფულს და, როცა დაღამდება, მოაქვთ ტომრები.

მაშინ მირზა კარგ ხასიათზეა, ახალ ხალათს და ჩექმებს იცვამს, მიდის სადღაც და შინ მთვრალი ბრუნდება...

პეი სულ სახლშია.

ერთხელ სთხოვა წაყვანა ქალაქში, მაგრამ მირზა გაუჯავრდა.

პეიც დაემორჩილა ბედს...

დიდ გზასთან ყაზარმებია...

იქ ცხოვრობენ არმიელები...

პეი, როცა სახლში ბრუნდება, ხშირად ხედავს მათ.

ერთ იმათგანს კიდევ დაუმეგობრდა.

ის პეის ნახატებს აძლევს, ერთხელ ბრძანებულა ვარსკვლავიც აჩუქა...

სამაგიეროდ არც პეი რჩება უკან...

ხშირად მიიქვს მასთან ცოცხალი თევზები.

ის მულამ ეალერსება პეის და პეიც ამჩნევს, რომ მირზა სხვაა და მისი ნაცნობი არმიელი სხვა.

როცა აღრე მოუხდებდა პეის შინისკენ დაბრუნება, მაშინ ის უთუოდ ყაზარმაში შეივლის თავის მეგობართან.

ისიც ხვდება ღიმილით და შეჰყავს ოთახში, სადაც გრძელ მაგიდებზე გახეთები და ჟურნალები ალაგია.

კუთხეში, რომელიც წითლად არის მორთული, სდგას ქვის კაცი მაღალი შუბლით.

პეი მოუჯდება მაგიდას და ათვალეირებს ჟურნალებს.

7.

დღეს აღრე დაბრუნდა პეი.

საჩქაროდ გადმოიარა გზა, მოუხვია ყაზარმასთან და მარდად გადაირბინა ნაცნობი ეზო.

შეალო კარები.

— ო, ჩვენი სამნეო ნაწილის გამგე მოვიდა! — ღიმილით მიეგება მეგობარი არმიელი, როცა პეის ხელში წკნელზე აცმული თევზები დაინახა.

პეიმ პატარა ჯამბაზივით გაიღიმა და თევზები გადასცა.

მაგიდას მოუჯდა.

ვიწრო თვალებს მარდად დაარბენინებს ფურცლებზე.

ხან შეეშლება და სურათს უკუღმა მოიქცევს. მაშინ არმიელები იცინიან და უსწორებენ.

— აი... აი... აი... — წამოიყვირა უცებ პეიმ და თვალებით რაღაც სურათს დაესო.

შველივით წამოვარდა, მიირბინა მეგობართან და ყდაზე თითით რაღაც აჩვენა.

გული უცემს, თრთის...

თვალეები ეცრემლება...

— სად არიან, სად? — ჩურჩულებს და ხალათის კალთას ებლაუჭება.

— რა გინდა, პატარავ?

— სად არიან? — კვლავ გაიმეორა პეიმ.

ნუთუ ვერ მიხვდენ? ცრემლი გადმოვარდა...


ეს ხომ იმათ ჰგავს, ისინი არიან, ასე ეცვათ!..

არმიელმა დახედა სურათს: ზღვის პირი; მოსჩანს კარვები და მხიარული სახეები პიონერების.

დაბლა წარწერა: პიონერები ბანაკად.

გაკვირვებულმა არმიელმა აღწია პეის თავი, თვალეებში ჩახედა... მიხვდა...

— პიონერები უნახავს! — გაიფიქრა...




პეი დელავდა, მოაგონდა ყველაფერი: გემი, გაქცევა, ზღვა, გადარჩენა, მირზა... ისინი, რომელთა ნახვის გულისათვისაც გამოიარა ამდენი წვალება.

— გინდა მათთან?..

პეი მიხვდა და საჩქაროდ დააქნია თავი.

— ხვალ დილით მოდი, წაგიყვან! — გააგებინა და კური დაუვლო სიჩუმეს.. ნიშნებით არმიელმა.

— სად იყავ? — ყვირლით მიეგება მირზა პეი სდუმდა...
— უთუოდ კიდევ იქ, შე ძაღლის შვილო!..
და მირზამ ხელი აიქნია...
გარეთ მთვარეს უღმუოდა ძაღლი...
უცებ ღმუილი შესწყვიტა, კისერი დაიგრძელა და კური დაუვლო სიჩუმეს..
ქონიდან ისმოდა შეკავებული ტირილი...
სტიროდა პეი...



კუთხეში, რომელსაც წითლად არის მორთული, სდვას ქვის კაცი მალალი შუბლით

პატარა გული უფრო ამოძრავდა, ეტკინა სიხარულით.

პატარა თითები მაგრად მოხვია არმიელის დაკოჭრებულ თითებს და ორმა ჭროლა თვალმა უსაზღვრო მადლობა გადმოისროლა.

პეის მხიარული გული მიჰქონდა სახლისკენ. ხვალ მათთან, მათთან... ო, რა ბედნიერებაა!.. უცებ სახე მოეღუშა, გაახსენდა მირზა... მირზას გაეპარება დილით, ადრე, ძილის დროს...

სახე კვლავ გაუმხიარულდა და მორიდებით შეალო ქონის კარები.

ქონში არაყის სუნი იდგა...
ცეცხლი ანათებდა მირზას და ვიღაც წითელ-წვერიან კაცს... სვამდენ, საუბრობდენ...

რამოდენიმე ხნის შემდეგ ქონის კარები გაიღო და სამი ლანდი ჩქარი ნაბიჯებით გაჰყვა ბილიკს...
ზღვა ჰქუხდა...
გაშმაგებული ზვირთები ღმუილით ეხეთქებოდნენ ნაპირებს...
— ძნელია ნაპირთან მოსვლა, — ჩაილაპარაკა მირზამ...

— სანიშნო ცეცხლი დაანთეთ, თორემ ძლიერ ბნელა, შეიძლება გზაიასცდენ, — უთხრა წითურ კაცს და ქვაზე ჩამოჯდა.


— ბევრია საქონელი?
— ორი ნაგია; თუ მაგის გაპარება მოვახერხებთ, დიდი ფული იქნება!
— მირზა გააპარებს, მირზა გამოცდილია! — ჩაიხიბოდა სიამოვნებით მირზამ.
შემდეგ მიუბრუნდა პეის და რაღაც ანიშნა.

პეი მიხვდა...
სწრაფად გაიარა ათეული საყენი და სადაც დიდი ტბა იწყებოდა, იქ ჩამოჯდა. ამ ადგილას ხშირად ყოფილა პეი... როცა მირზა ზღვიდან ნაგებს ელის, მაშინ პეის აქ ჰგზავნიან...

მის მოვალეობას გუშაგობა შეადგენს...
დიდ გზაზე თუ ვინმე გამოჩნდა, პეიმ უნდა შეატყობინოს მირზას...

...
გავიდა ნახევარი საათი.
შეხუთული ჰაერი ჩამოწვა...
პეის ჩასთვლიმა და თავს სასაცილოდ აქნევს...
ხედავს: ქვის კაცი უღიმის და აძლევს სურათს, რომელზედაც თეთრი კარები და მხიარული სახეები ხატია.

პეის უხარია და ხელს უწვდის გამოსართმევად...
უცებ კისერში რაღაც მოხვდა მძიმედ...
თვალეები გაახილა...
წინ მირზა იდგა...



-- გძინავს, ძალის შეილო?—ჩასძახა ყურში და ის-იყო კიდევ დაიხარა დასარტყმელად, რომ ამ დროს სიბნელიდან მოისმა მრისხანე ხმა:

— დაგვნებდით!—

— ააა, ხაფანგში გავები!—დაიღრიალა მირზამ და უკან გადმოხტა...

მოისმა სროლა, ერთი, ორი...

— რაღაც მოხდა, — გაუელვა პეის და წამოიწია ასადგომად, რომ ამ დროს ჟრუანტელმა დაურბინა, გულთან რაღაც სითბო იგრძნო... ხელი მოიკიდა... თბილი სისხლი მოხვდა...

თვალეები დაუბნელდა... ყველაფერი ერთმანეთში აირია...

ღონემიხდილი მიეგდო იქვე...

შემდეგ იგრძნო, თითქო ასწიეს, წაიღეს...

9.

საავადმყოფოს ალყაფთან არმიელი შეჩერდა, მორიგე ექიმი იკითხა.

— შე ჩინელი ბავშის ნახვა მინდა, თუ შეიძლება! ჩემი მეგობარია! წუხელ კონტრაბანდისტებს ხლებია, შეტაკების დროს უცაბედად დაუჭრიათ...

ექიმმა ზარი დაარაწყუნა. მსახური ქალი შემოვიდა...



ლოგინზე თვალდახუჭული პეი იწვა

— უჩვენეთ ავადმყოფი № 13.

ფრთხილად შეაღო ოთახის კარები... შეჩერდა..

ლოგინზე თვალდახუჭული, გაყვითლებული პეი იწვა...

მძიმედ სუნთქავდა; ეტყობოდა, სიცხე ჰქონდა...

— სძინავს?—ჰკითხა ქალს...

— არა, ახლა გაიღვიძა!..

არმიელი მოცილდა კარებს...

— პეი!—გაისმა ოთახში...

ლოგინზე მწოლი შეინძრა... წამწამები აფარულა...

ორმა ქროდა, მიბნედილმა თვალმა შეხედა არმიელს...

წამწამები უფრო აფარულა...

— აი, აი!—მოსკდა პეის ტუჩებს.

უსიცოცხლო თვალეებმა წამით გაიელვა... თავი წამოსწია. მაგრამ ისევ მოეშვა და უღონოდ ბალიშზე დაეცა...

— გიცნობ!—უთხრა არმიელს ქალმა.

— პეი, აბა, შეხედე, რა მოგიტანე!

თავსასთუმალთან ჩამოჯდა და რაღაც ქალღი გაშალა...

პეის სხეულში თითქო ჩქერმა დაირბინა...

ნაცნობი ხმა... სად არის?... მასთან...აქვე...

თვალეები ფართოდ გააღო და ხელით მეგობარს წაეპოტინა...

— შეხედე!—გაიმეორა არმიელმა და სურათი ახლო მიიტანა.

სურათზე, ნაცნობი კარვებიდან, პიონერების მხიარული სახე უღიმოდა...

ტუჩები ნელ-ნელა გაეხსნა...

ტუჩებზე გადაურბინა პატარა თრთოლვამ... და გაიღიმა...

— ჰო, ჩემო მეგობარო! მორჩი, მალე მორჩი, წავიყვან მათთან... ხომ გინდა?..

10.

— არ არის მაგრე, სტყუი, მუსოლინ, როგორ ბედავ!—გაიწკრიალა ჰაერში ხმამ, რომელსაც შეუერთდა სხვების ჟივილი და შეძახილი.

წრე გაირღვა.

რამდენიმე პიონერი მუქარით გადახტა ერთისკენ, რომელმაც ის-იყო მარწუხივით მოხვია ხელები მეორეს და დაცემას უპირებდა.


— არ არის სწორი, არ არის სწორი, მე ჩიჩერინი ვარ!— იძახდა მეორე და ცდილობდა ხელის გაშვებინებას...

ხელები უფრო ეხვეოდა...

მეორეს ხმა აუკან კალდა, გაიფართხალა... ამაოდ იგრძნო, რომ უფრო ზევით აიწია...

მაშინ დასწვდა პირველის მკლავს კბილებით...

— ვაი... ვაი!—დაიღრიალა პირველმა და ხელები მსწრაფლ გაუშვა...



განთავისუფლებული გადახტა... გაწითლებულ სახეზე თვალები ცეცხლს აფრქვევდა...

— რას იკბინები? — შესძახა პირველმა და მუშტ-მოღერით გაქანდა...

— კოლა, რას შვრები, გრცხვენოდეს! — მაიძახა ათეულმა ხმამ...

— აბა, რას იკბინება! — არ იშლიდა თავისას პირველი...

— მაშ რატომ მაქცევდი? — მიუგო მეორემ...

— უარესს გიზამ, დამაცადე! — და მუქარის დასამტკიცებლად მუშტი მოუღერა...

— რა გაყვირებსთ, რა მოხდა? — მოისმა იქვე ხმა.

— ს ს ს ს! ხელმძღვანელი მოდის.

შეიქნა ჩურჩული პიონერებში...

მაღალი, ხუჭუქთმებიანი ახალგაზრდა უახლოვდებოდა მოჩხუბრებს...

მას მოჰყვებოდა ვილაც, სამხედრო ტანსაცმელით, და ბავში.

— რა გაჩხუბებსთ? — იკითხა ახალგაზრდამ, როცა გულმოსულ სახეებს მოჰკრა თვალი.

— აბა, კოლა, რა ამბავია? — მიუბრუნდა პირ-

— შენ მუსოლინი ხარ! — გაცხარდა გივი, — ჩი-ჩერინს კი მუსოლინი ვერ მოერევა, არ იცნა? — კოლა გაწითლდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— მუსოლინი შენ ხარ, მე არ მინდა მუსოლინობა, — ძლივს წაილულლულა კოლამ...

ხელმძღვანელს გაეცინა...

— ჰო, კარგი, კარგი, ჩხუბი მაინც არ ვარგა, აბა, შერიგდით!

კოლამ ქურდულად ასწია თვალები.

ხელის მოჭერით ავრძნობინა გივს, რომ ის ღონიერია და, მაშასადამე, მუსოლინიც არ არის...

— მოგროვდით, სმენა!

პიონერები გამწყრივდნენ.

— მეგობრებო! — დაიწყო ხელმძღვანელმა და წინ პატარა ჩინელი ბავში წამოსწია:

— აი თქვენი ახალი მეგობარი! ის მოვიდა ჩვენთან შორეული მხრიდან, შორეული ჩინეთიდან, სადაც მშრომელი ხალხი საკუთარი სხეულის ნაკვერცხლებით აღვივებს მას, რასაც ეწოდება მშრომელთა განთავისუფლების საქმე. მიიღეთ ის თქვენს ოჯახში,



ჩინელი ბავში გაოცებით შესცქეროდა ყველას და იღიმებოდა

ველს, რომელსაც კიდევ ვერ მოეშუშებია ნაკბენი მკლავი...

— ვთამაშობდით ჭიდაობიას, მე მუსოლინი ვიყავ, გივი ჩიჩერინი...

დაჩუმდა.

— ხელზე მიკბინა!.. დაუმატა ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— მაქცევდა, ამხ. ხელმძღვანელო! — ჩაერია გივი.

— თუკი გერეოდი, მაშ რა უნდა მექნა?! — მოუქრა კოლამ.

უპატრონეთ მას და ავრძნობინეთ, რომ მსოფლიოში არსებობს ისეთი მხარე, სადაც სიყვარული და მეგობრობა სუფევს....

კიდევ დიდხანს გაისმოდა ხელმძღვანელის სიტყვები.

ჩინელი ბავში გაოცებით შესცქეროდა ყველას და იღიმებოდა.

ეს იყო პეი...

არმიელომა აასრულა თავისი პირობა და პეის ოცნებას ფრთები შეასხა...

11.

პეი!

არ ვიცი, რა ემართებოდა პეის...

სიხარულით თრთოდა, ტიროდა, ეხვეოდა ყველას, ჰკოცნიდა არმიელს ხელებზე...

ორმოცდაათმა წყვილმა ხელმა აიტაცა ის ზევით.

ვერცხლივით გაიკრიალა ხმამ:

„ჩვენ ვარ ჰაბუენი, მებრძოლნი სულით!“

სიმღერას შეუერთდა მხიარული ყივტილი.

— ჩემო ბიჭუნო, ჩემო ბიჭუნო! —

არმიელი, როცა ხედავდა ჰაობიდან ამოტაცებული ბავშვის ბედნიერებას.

კ. ლორთქიფანიძე

ზღვა აღელვდა

ზღვა აღელვდა,
აბობოქრდა,
ზღვამ ფაფარი
აიყარა;

კლდეს ეკვეთა,
შეჰღრიალა:
ბატონობა
შენი კმარა!
კლდისა შვილნი,
სვავ-ყორანი,
ახრიალდენ
საზარლადა, —

მათ სახლ-კარი
დაენგრევათ, —
მოესპობათ
ძალა მთლადა.

აქეთ ეცენ,
იქით ეცენ,
შავ კლდეს თავზე
ველებიან,

სურთ უშველონ
კლდეს ბრძოლაში,
ღობე-ყორეს
ედებიან.

ზღვა კი ღელავს,
მიდის-მოდის,
კლდეს ასკდება
მთელის ძალით,

მკერდს უკაწრავს
მკერდს უფლეთავს
ქაფმოგდებით
და გრიალით.

დაიბნიდენ
სვავ-ყორანი,
მათ დაუდგათ
წამი ძრწოლის;

უგვანო ხმით
ხრიალებენ,
მოუდუნდათ
ძალა ბრძოლის.

ისმის მტვრევა,
ლაწალუწი;
ზღვაში ლოდი
ჩასრიალდა.

მას სხვა მიჰყვა,
და კლდის პირი
შესამჩნევად
დაზიანდა.

ტალღა უფრო
მედგრად იბრძვის,
ცასა სწვდება
მისი ფრთები,

კლდე შეირყა,
დაიგმინა:
„მომეშველეთ,
ვკვდები, ვკვდები!“..

დაიშალა...
ზღვის უფსკრულში
ჩაილუბა
მისი ტანი;
იქვე ჩაჰყვენ
დანგრეულ კლდეს
მცველნი მისი —
სვავ-ყორანი.


ზღვამ თვის ზღუდე
გადალახა, —
ვერ შეუკრავს
ვერავენ გზებს!

თავისუფლად
მინავარდობს,
თავისუფლად
ისვრის ტალღებს!

მარჯვნივ, მარცხნივ,
წინ და უკან, —
ყველგან ისმის
მის გრიალი.

ამაყია...
კვლავ შეჰჰუსრავს,
თუ წინ დახვდა
კლდე ტილი!..

დ. ელიოზიშვილი





(ნაწყვეტი დაუბეჭდავი მოთხრობიდან)

გავიარეთ ბევრი ხვეული და აჰა!..
 ესეც არაზინდო...
 რა სიმაღლეზე ამოვსულვართ!..
 ისე მაღლაა ეს სანატორიუმი, რომ ნისლეხსაც
 კი უძნელდებათ აქამდის ამოხწევა...
 ეგება ამ სიმაღლის ბრალია, რომ დიად ხელო-
 ვანს, გაზაფხულს, აქ ამოსვლა, ცოტა არ იყოს,
 შეჰგვიანებია...
 ახლა ჩქარობს მოასწროს.
 ჰარი-ჰალადა შლის თვისს სურათებს...
 ნაირ-ნაირ სანახაობებს ჰკიდებს ფლატეებზე...
 მწვერვალზე... ქედებზე...
 ჩქარობს, მაგრამ შეცდომა არსად მოსდის...
 ყველაფერი თავის რიგზეა...
 ყველაფერი გულშემტაცებლად ღაღანებს...
 რაზე გაფიქრდ?..
 საიდან დავიწყო?...
 არა ყოფილხართ სურათების გამოფენაზე?..
 ყველაფერი გზიბლავთ...
 გინდათ ყოველი კუთხე და დაფარა შემოირ-
 ბინოთ...
 სულ ყველას თვალი მოავლოთ...
 და ამ ფუსფუსში ვერაფრის ნახვას ვერ ას-
 წრებთ...
 თვალები გიჟმაჟი მერცხლებივით უსვენებლივ
 მიმორბიან...

უნდათ ყველგან იყვნენ... ყველას ეტრფიან...
 ასე გვემართება ჩვენც...
 * * *
 ჯერ ფარსავად არც კი ვყოფილვართ დაბინა-
 ვებული, რომ ყველას ყურადღება მიიპყრო არა-
 ზინდოს სახელწოდებამ...
 რათ ჰქვიან არაზინდო?..
 ზოგს ქართული სახელი არც-კი ჰგონია...
 ჰკითხულობენ.
 არავინ იცის...
 ჯერ არ დაწერილა არაზინდოს ისტორია...
 საყურადღებო კია...
 ბევრი სახელი შესავალია, გასაღებია, უვერ-
 ტურაა უკვე გაღეგენდებული წარსულის სინამდვი-
 ლისა...
 ისტორიას ბევრი რამ ავიწყდება...
 ხოლო არაფერს ივიწყებს მახვილი მეხსიერება
 მდაბიო ხალხისა...
 იგი მოგონების ქვევრებში ბრკემოუკიდებლივ
 ინახავს ყოველ ამბავს თავისი წარსულისას...
 მას მივმართავთ...
 ეგება მან მაინც ახსნას საბურველი...
 რათ, რისთვის ჰქვიან ამ ადგილს არაზინდო?
 რა იყო ძველად?
 ძნელდება ამისი მკოდნის გამონახვა.
 როდის-როდის, კათხვას-კითხვით მივიკვლი-
 ეთ, მივაგენით ერთ მოხუცს...

ასეთ მოხუცს ჩვენი მთების ყველა მწვერვალებზე შეხვდებით...

ათჯერ ათეულ წელს ჩამოუთოვლია მისთვის, მაგრამ ისევ ჭარბად აღმოს... კირკიტად ჰგრძნობს თავს...

თვალეები კვლავ მახვილი აქვს... ქორებრივ მხედარნი....

მუხლი მგლისა...

ხალისი ბავშვისა...

თბილად მივესალმეთ...

მანაც სიყვარულით მიგვილო...

დაგვთანხმდა, ეამბნა ამ ადგილების წარსულ დღეთა ვითარება...

* * *

მოხუცი ჩამოჯდა ჯირკვზე.

ჩიბუხი გააჩაღა... რამდენჯერმე გააბოლა და დაიწყო:

— ეს ძველი ამბავია... პაპიჩემისაგან გამოგონია...

ოდესღაც ეს მთები და არემარე ეკუთვნოდა ერთ ბატონს...

მკაცრი რამ ყოფილა ის აძალდებულის... უჯათი... მოსისხარი...

სულ იმის ფიქრში იყო, როგორ გაემწარებინა ყმების სიცოცხლე...



მოხუცი ჩამოჯდა ჯირკვზე და დაიწყო

მშვენიერი კოშკი ჰქონია ოცხეში...

ამტყდარა: რაღაც უნდა დამიჯდეს, აიმ მთის მწვერვალზე სსახლე უნდა წამოვდგაო.

მოუხშია მსახურნი და განკარგულება გაუცია. სიტყვა ბატონისა — კანონია...

არ ასარულებ?... — გაგამწარებს...

მიგყიდის ურჯულო შაჰებს...

მეტი რა ილაჯი ჰქონდათ... შეუდგენ მუშაობას...

ბევრ მწვერვალზე აუზიდნიათ საცოდავი ყმების საშენებელი მასალა...

მთელი საქართველოს ციხე-კოშკები ხომ სულ ყმების ანაგებია, მაგრამ ეს მთა მეტად მაღალი იყო.

გაწყდა ხალხი წელში...

ნიათი გამოეღია...

სულ ზურგით აზიდვინებდა თლილ ქვას...

მიქაქანებდენ საცოდავნი და თან მისდევდენ ბატონის ყურმოჭრილი მოურავები... შესვენების ნებას არ აძლევდენ... სახრით აჭრელებდენ...

იცით, აიმ პატარა გავაკებულ ადგილს რა ჰქვია? — გვკითხა მოხუცმა...

ჩვენ, აბა, რა გვეცოდინებოდა...

მხოლოდ ყური ვცქვიტეთ მოსასმენად.

— იმას ჩვენ „სულთმეწიას“ ვეძახით...

— რათა, პაპავ, რათ დავირქმევიათ ეს უცნაური სახელი.

— იმიტომ, რომ ამ ადგილმა შეიშრო ჩვენი წინაპრების სისხლი... თურმე რამდენიმე ყმა ისე დაიქანცა, რომ ველარ შესძლეს გზის განგრძობა...

— ვაიმე, დედავ, სულთ მეწიაო! — წამოუძახნიათ მათ და იქვე ამოხდომიათ სული...

წესიერი დამარხვაც კი არ უღირსებიათ...

ბატონის განკარგულებით იქვე ჩაუფლავთ სახელდახელოდ ამოჩიქნილ ადგილას...

ეს ადგილი ჩვენი წინაპრების ტანჯვის აკვანია და ჩვენ მათს მოსაგონრად და სულის შესანდობრად სამღვთოს ნიდავ ამ ადგილას ვიხდით ხოლმე...

ეხლა კი სამღვთოც დაივიწყა ხალხმა და თვით ღმერთიც...

ვიღას რაში მოაგონდება ეს ადგილი? — ამოიოხრა მოხუცმა...

— რათა, პაპავ!.. რათა გგონია აგრე?..

— ჩვენ მანდ ძეგლს ავაგებთ! — სცადა კომკავშირელმა ენუგეშებინა მოხუცი, მაგრამ ამაოდ...

მოხუცი უფრო ახალგაზრდებზე იყო გულძვირი...

ისე შეუკრა კოპები, რომ ყმაწვილს ხმა აღარ ამოუღია...

— განაგრძეთ, პაპავ, განაგრძეთ!.. — ეთხოვეთ ყველამ, — ისე გვეჩქარებოდა მოგვესმინა მეტად გულისხმიერი ამბავი...

მოხუცი მოგონებათა ბურუსით იყო მოცული... ვგონებ, ჩვენი დალაპარაკება არც კი ესმოდა.

— მაინც ააშენებინა სასახლე?... — იკითხა ერთმა ჩვენთაგანმა.

— მაშ რას გააწყობდენ?... — მიუგო მოხუცის ნაცვლად მეორემ.

— ნუ გაუგონებ... ბევრს გაიტან ჯიუტობით! რა თქმა უნდა, ააშენებინებდა, — ამბობს ერთ-

თი ავადმყოფი და უნაღვლიანდება გული, ყმების მწარე ხვედრს რომ იგონებს...

მოხუცი გამოერკვა ბურანისგან და სახეზე ნათელ ღიმილგადაკრულმა მოგვიგო:

— არა, ყმაწვილებო!.. ყოველთვის როდია მონის ქედი ამტანი...

ერთხელაც არის დასწყდებიან მონობის აპეტრები...

ასე მოხდა მაშინაც...

ორწობიდან დაწყებული იქამდის, საცაღდეს სანატორიუმია, მოიჭრა ის ხმა და შეაჩერა ყმების თილისმიან ბრძანებასავით ჩასწვდათ გულში.

დააქანეს ლოდები უკანვე...

ძლივს წელში გასწორდენ და დაბრუნდენ ძირს. ცეცხლის ნაპერწკლებით ელავდენ უამრავი თვალები...

ომანხიანად სძვერდენ გულები...

— ბატონი?.. რალა სტქვა ბატონმა?..

— რა ზომას მიმართა?..

— გამობრძანდა იგი გარეთ ყურთმაჯებ მხრებზე გადადებული და დაერია გლეხობას...

ვის თავში წაუთაქა ხელი, ვის მათრახი გადაუშხივლა...

თან ჰყვიროდა გაკაპასებით:

— თოფი... ჩქარა ჩემი ხორასნის თოფი გამომიტათო...

ჯერ კი ითმინეს გლეხებმა...

იგი ბევრს მართლაც დაღვთის ჩამომავალი ეგონა...

ვერ შეეხებდათ უფლის სწორისთვის...

ბოლოს აქაც გამოიღო ვილაცამ თავი...

— ხალხო, სირცხვილია ჩვენთვის, ეს აბლაკი ასე რომ გვიჩათინებს... სულ ერთია; აღარ გვაპატიებენ გაფიცვას... ყველას გაგვეუფლებენ... ბარემ ჩავაქვაოთ ეს აძაღლებული... ჩვენ არ გვეღირსება ბედნიერება, მაგრამ სხვებს მაინც ვაღირსოთ უამისოდ ცხოვრება!..

— ჩავაქვაოთ, ჩავაქვაოთ!..— გაისმა მქუხარე ხმა...

სიცოცხლე თქვენა გქონდეთ, ბატონმა აქ კი იკადრა თავის მოკატუნება...

— რას სჩადით, ხალხო, ძმებო, ნათლიებო!... განა მართლა გეუბნებოდით... როგორ გამოგიმეტებთ ქრისტიანებს... გეხუმრებოდით.

გვიანდა იყო თავის მოკატუნება...

გაიზუზუნა ჰაერში კეტმა და სისხლით შეიღება ბატონის თავი...

მას მოჰყვა ლოდები...

მაღე იმ ადგილას, სადაც ბატონი ბრძანდებოდა, აიმართა დიდი ზვინი ლოდებისა.

დუმილი ჩამოვარდა...

— სად იყო ეგ ადგილი?— იკითხა კარგახნის შემდეგ მარად ცნობისმოყვარე ახალგაზრდამ...



ეზიდებოდენ მძიმე ლოდებს მონა-მორჩილნი

რაკი დაინახეს გლეხებმა, რომ ბევრი მათგანი ესაღებოდა სიცოცხლეს ამ მწვერვალზე ლოდების ზიდვით,— აპირთავდა მოთმინების ფიალა.

ამოიგმინა პირველი წინააღმდეგობის ხმამ...

ერთხელ, როცა ბატონის დამქაშებმა უფრო მძიმე ლოდებით დატვირთეს ყმები და მთას შეუყენეს, უცბად სადღაც გაისმა უჩვეულო, ჯერ აროდეს გაგონილი ხმა:

— არ აზიდო!.. არ აზიდო!..

— ჰოი, თქვენი კი ჰირიმე, თქვენი!— წამოიძახა ახალგაზრდა მუშამ, ეს რომ მოისმინა მოხუცისაგან... თვალები ისე გაუბრწყინდა, თითქოს საკუთარი თვალითა ხედავდეს უხსოვარი დროის შეთქმულ ყმებს.

— არ აზიდო!..— გაისმა პირველად და იმ ხმამ ელვასავით დაურბინა ყმებს...

— იმასაც გაჩვენებთ,—სთქვა მოხუცმა და ხალისიანად წავიძღვა წინ...

* *

კარგა მოშორებით იყო.

გზაში გაიმართა მასლათი ამავ საკითხზე.

ვინ რას ამბობდა, ვინ რასა!..

ზოგინატრულობდა, ეცხოვრა იმ დროს, ოღონდ ღირსებოდა მონაწილეობა მიეღო იმ გლეხთა პირველ შეთქმულებაში..

— აკი ბატონსა და ყმას შორის ძველად მამაშვილური განწყობილება იყო, — სთქვა ვიღაცამ და გაიხსენა ალ. ორბელიანის აზრები.

ყველას მწარე ღიმილმა გადაჰკრა...

ეს ამბავი მჭევრმეტყველური უარყოფა იყო იმ უსუსური ზღაპრისა...

— აი, რატომ დაურქმევიათ ამ ადგილისთვის არაზიდა...

— სმენა, ყმაწვილებო, სმენა და გაგონება... ეს კიდევ არაფერია... ამბავი ჯერ არ დამთავრებულა, — გვითხრა მოხუცმა და ჩიბუხი მოსწია... ჩაისუნთქა ბოლი და ისევ ღრმად ამოაბოლა, თითქოს წარსულ დროთა ვარამი თან უნდა ამოაყოლოსო...

ჩვენ ისევ მღუმარების კვერთხებს დავებჯინებით და თვალი მივაპყროთ მოხუცს...

— ყმაწვილებო, ეხლა ღამდება და დრო აღარ არის...

არცა მცალიან. მომაგონდა, რომ ამაღამ სხვაგანა ვარ წასასვლელი.

როდისმე კი გაჩვენებთ იმ ადგილს, საცა ის ბატონი ჩააქვავეს.

ის ძირს, ოძრხეში, არის.

იმ ადგილას არასოდეს არ ამოდის ბალახი...

გარშემო მდგომი ხეებიც კი რალაც დაგოლვოლები მოსჩანან...

განი-განს იწევენ, თითქოს უნდათ გაეკცენ ამ ადგილსაო...

ღღემღე ჩვეულებად არის დარჩენილი: ყველა გლეხი, რომელმაც კი იცის, რომ გავლა იმ ადგილს დასჭირდება, თან წაიღებს ფიჩხს, ან ჩალას და წაუმატებს იქ დაყრილ ფიჩხს...

როცა საკმაოდ შეგროვდება, გამვლელივე წაუკიდებს ცეცხლს და ააპჩიალებს...

ამბობენ, სწორედ იმ ადგილას ჩააქვავეს ბატონიო...

ყველა დარწმუნებულია, რომ ის საზიზღარი ჯოჯოხეთშია ჩაყუდებული და ამიტომ ანთებენ ცეცხლს, რომ საიქიოს შეტრუსვა და წვა-დაგვა ერთი წუთითაც არ მოაკლდესო...

.....

ყველას მოეწონა ეს ამბავი...

სახელდახელოდ შევაგროვეთ ჩხიმალი...

ვეება ცეცხლი გავაჩაღეთ და ვიძახდით: ესეც იმავ ბატონს მიუვიდესო...



ბოლოს აქაც გამოვიდა მოთავე

არავისა გვეჯეროდა საიქიო და ჯოჯოხეთი, მაგრამ იმ ლეგენდის აზრს კი აღტაცებაში მოვყავდით... უფრო დიდ ჭიკაძეკონას ავაგუზგუზებდით, მაგრამ მოგვესმა სანატორიუმის ზარის რეკა...

ავადმყოფებს ვაზშმად მოუხმობდენ.

ყველამ გულითადი მადლობა გადავუხადეთ მოსიყვარულე მოხუცს და ვთხოვეთ, როდისმე ეჩვენებინა ის ადგილი...

მივდიოდით ბინისკენ და თან ვამბობდით:

ნეტავი წამოახედა სამარეებიდან ის გლეხები, რომელნიც შეითქვენ...

არ აზიდაო, — ისმოდა საუკუნიდან საუკუნედლის...

მხოლოდ მაშინ ამოიზიდა და მარჯვედაც ამოიზიდა, როცა გადაწყდა, რომ იგი სანატორიუმის გლეხებისა და მუშებისათვის იქნებოდა...

დ. თურდოსპირელი



თრიალეთის კალთებზე

(ლეგენდები და სინამდვილე)

დასასრული

თითის წუწვნით

—ამ სოფელზე ჩემს აქ ყოფნაში ბევრში ლეგენდა გავიგე, — ჩაერია მასწავლებელი ქალი.

— მეორე ვერსია კიდევ ასეთია ამ სოფლის იავარქმნაზე და მოშენებაზე: მტრები თურმე ხშირად ეცემოდნენ, როგორც ჯავახეთ-ახალციხეზე ახლო მყოფს, რადგანაც აქვე ახლოს იყო, სულ ორიოდ ვერს-ზეა, ქართველ მეფეთა სააგარაკო ციხე-დარბაზები, და ოსმალები ხომ მათ ემტერებოდნენ; იმ მხარეს აწამეს მღვდელი თევდორე, რა მან მეფის ბინის ჩვენების მაგიერ სხვა გზაზე წაიყვანა მესოპოტამიიდან ამ ქედზე გადავლით თავიანთ ქვეყანაში მიმავალი ყირიმელი თათრები, რომელთაც მეფის დატყვევება უნდოდათო, მერე მათ ხომ სააკადე დაეწია ბორჯომის ბოღაზთან და დაამარცხა ისინი...

ეს მიდამოები სააკადის სანავარდო იყო, აქ ისწავლა მან თურმე, სამშობლოს სიყვარულით ხმლის ქარქაშში ჩაუკებლობაო...

აგერ, გაღმა სოფელი ნოსტე, მისი კოშკით...

ჰო, ერთხელ თურმე, როდესაც მტრები დაეცნენ სოფელს, ააოხრეს აქაურობა, სამა ძმამ გამოიჩინა დიდი გმირობა, მაგრამ ვალავანში მოემწყვდენ. მტრები რომ ვერას გახდნენ, ცეცხლმოკიდებულ თივებს ესროდნენ ზევიდან; ამოსწვეს შიგ ყველანი. ერთ-ერთის დიდება გადაჩრა, შვილიშვილის შვილი ხო-ქიჭაში (პატარა აკვანი) შეახვია, დაიმალა და თავის თითს აწუწუნებდა ბავშს, ისე გამოზარდა. ის ბავში რომ გაიზარდა, კვლავ მოაშენა სოფელი და თავისი მოღვმო.

დანარჩენნი, ვინც არიან ამ სოფლის მცხოვრებნი, ყველანი შემოხიზნული ყოფილან სხვა მხარეებიდან.

გიჟების განკურნვა

— ამ ეკლესიის სასწაულმოქმედებაზე ხმა იყო ყველგან გავარდნილი, რომლითაც შემდეგ, რასაკვირ-ნელია, სასულიერო წოდებამ, მღვდლებმა და მკი-თხავეებმა ისარგებლეს, ეს მრავალი ამბავი თავისთვის გამოიყენეს... ეს ეკლესია ისეთ წმინდად შერიცხეს, ისეთ ძალად, რომ შიშის ზარსა სცემდნენ ყველას, თუკი დიდ საჩუქრებს და სამღვთოებს არ შესძლენი-

დნ. თითქოს ავადმყოფებსაც კი ჰკურნავდა, და განსაკუთრებით კი გიჟებს. ვინ იცის, რა ყაიდის გიჟები არ მოჰყავდათ აქ, დაბამდენ ჯაჭვით, სცემდნენ, აწვალდნენ, აღრიალებდნენ; ყველაფერ ამას სხადი-ოდნენ წმ. ესტატეს სახელით; იმ ჯაჭვს ერქვა: „და-ლიანური“, ხუთფუთიანი წონის, რომელიდაც თავადის მიერ შემოწირული, ამბობენ დალიანის მიერო, — ისიც რუსეთში წაუღიათ. ჰო-და, ყოველგვარი ავადმყოფობით შეპყრობილს შემოახვევდნენ იმ ჯაჭვს ჯვარედინად და მუხლის ჩოქით შემოატარებდნენ ამოდენა საყდრის ირგვლივ სამჯერ. თქვენც მიხვდე-ბით, ის ავადმყოფი მორჩებოდა იმ სიმძიმის ქვეშ, თუ რა დაემართებოდა...

მონადირეებს სიცილი აუტყდათ გლეხის ამ მოსწრებულ და ჭკვიანურ სიტყვებზე...

ღამისთევა

ღალამდა...

მთვარე ამოგორდა გაკრიალებულ ლურჯ ცაზე, აღმოსავლით; წითელი ნახუქივით იყო გაბადრული; დისკოაკვრით, ნამძინარევა გაღმომთქნარა ზანტად; სოფელი შეგარაყა მზის ანარეკლი ყვითელი შუქით და ბუზმენტად მოევილო გუჰბათის ამწვანებულ წა-მოსასხამს...

მთელ ღამეს ისმოდა ხმაური, სიმღერა, ლხინი, დაკვრა, ცეკვა...

საკლავები შიშხინებენ ზესადგარზე, მწვადის სუ-ნი ნოყიერ ყნოსვად აეშვა ჰაერში...

ჩვენს მონადირეებს ერთი-მეორეზე ეპატიუებიან ყველანი, მაგრამ მასპინძელი არ უშვებს...

ყველას უნდა სტუმრებს ასიამოვნოს, და თუ უარი უთხარი, არ ეწვიე, ამას დიდ შეურაცხყოფად სთვლის, სწყინს, არ მიკადრაო...

მას დღეს სურს გასიამოვნოს, მან იცის, რომ ამ მხარეს წელიწადში ერთხელ თუ განახავს. ის მთელი წლის ნაშრომს არ დაიშურებს; ყველაფერი სუფრა-ზეა გაღმოლაგებული...

წინეთ ეს მხარე ღვინით იყო განთქმული, მაგ-რამ უმეტესად გადახმა. გლეხს მიწა არ ჰყოფნიდა და ბევრმა გაკაფა ვენახი, სათეს ნაფუზრად გადააქ-

ცია; აქვთ ღვინო, მაგრამ ცოტა, არაყი კი ყოველ-
ნაირი: პურის, ჭაჭის, ხილეულის...

აქ ტყე სავსეა გარეული ხილით: შინდი, პან-
ტა, თხილი, ზღმარტლი, კვრინჩხი, ვაშლი, ღოღ-
ნაშო, კუნელი, კოწახური, წიფელი, რომლითაც ის
სარგებლობს...

ოცი ვაჟის დედა

მასპინძელი მხიარული აღმოაჩნდათ ჩვენს მო-
ნადირეებს, მჭევრმეტყველი, დაუზარელი, ხუმარა,
მოსიმღერე...

ის ქეიფში თან ძველ ამბებს უყვება:

— ჰო... აქა, ჩემს პატარაობისას, მახსოვს, დღე-
ობას მოვიდა ერთი გაღმამხრელი დედაკაცი სალო-
ცავად, რომლის ნახვამაც ყველა გააკვირვა, — დაიწყო
მან.

ყველა სმენად გადაიქცა.

— მას ფერხული ჩაება თავის ათ ვაჟიშვილთან,
რომელნიც თანჰყავდა და უფლიდა მარდად. ძალი-
ან ყოჩალი სჩანდა; თან უფლიდა და თან მღეროდა:

— შორი გზიდანა მოვდივარ

ოცი ვაჟიშვილის დედა;

გვედრები, შემიწყალო,

მუდამ მლოცველი შენზედა.

ათი შვილი ხომ თანა მყავს

შენი სიწმინდის მცველად;

ათი კი სახლში დავტოვე

ჩვენს მტრებთან საბრძოლველად.

— ათივე მონადირეა, —

როგორც შენ იყავ წინადო;

ყველა გულადი ვაჟაკი,

მტრების არ დასაცინადო...

და სხვა...

მღეროდა და ფერხულით უფლიდა გალა-
ვანში...

ვინ იცის, კიდევ რას არ უყვებოდა, მაგრამ
მონადირეებს ძილი მოერიათ...

ცოტა ხნის შემდეგ დაღლილებს ხვრინვა აღ-
მოხდათ...

ლამისთევა კი სახლპრო სურათებში ელავდა...

გველის კულტი

მეორე დილას მონადირეებს სანადიროდ უნ-
დოდათ წასვლა, მაგრამ მასპინძელმა არ გაუშვა.

— რას ამბობთ, ნამდვილი დღეობა დღესაა და
სად უნდა გაგიშვათ?!

ბევრი იჭირვეულებს მონადირეებმა, მაგრამ არ
გაუშვა...

გალავანში და მოედანზე ღამენაქვეთი...
აქა იქ ჩხუბი მოუვიდათ: დაიწყო ხანჯლების
ალი, ჩეხვა...

— ჩვენი დღეობა კარგია, მაგრამ ყოველწლივ
ასეთი ამბები რომ არ დატრიალდეს, არ ყოფილა
ისეთი წელიწადი ჯერაც, — სთქვა მასპინძელმა და
ყანწს გადავიდა გოგლასთან...

— აიღეთ და მოსპეთ, ნულარ იღლესაწაუ-
ლებთ, — უთხრა სოსომ.

— ბევრი ვეცადეთ, სოფელმა ბევრჯერ დაად-
გინა, მაგრამ რახან მამა-პაპეულიდან ადათად დავგრ-
ჩენია, ვერ მოვიშალეთ, — სთქვა მასპინძელმა და შე-
მოსძახა ხალხური სიმღერა:

— ნეტავი ხორცი მაჭამა,

გამოხრული ძვლისაო;

ზედ ღვინო დამალევინა

ბატონიანთ ზერისაო...

ამასობაში მეზობელმა გადაიბატიქა ის თავისი
სტუმრებიანად.

იქაც ისევე სუფრა, ისევე ქეიფი, სტუმრები...

სახლი ახლად იყო დაწყებული, დაუმთავრე-
ბელი, სადაც სუფრა იყო გაშლილი. ჭერზე, ხარი-
ხებზე ეყარა მინდვრიდან მოტანილი ფუჩეჩი და თი-
ვა, სარებზე ეკიდა ახლად თათარაში ამოვლებული
ჩურჩხელები, ყურძნის აკიდოები, ხილის ჯაგნები, ჩირი
გასახმობად, და ლასტზე კერკი...

შუა ქეიფის დროს სუფრის ახლოს ჭერიდან
ჩამოვარდა პატარა გველი და გაინაბა; სტუმრები
დაფრთხენ, წამოიშალენ. სოსომ თოფი მოიმარჯვა
მოსარტყმელად, მაგრამ მასპინძელმა ხელი დაუჭირა
მუდარით...

— ხელი არ ახლოთ, ნუ გეშინიათ, არაფერს
გერჩისთ; ეს სახლის გველია, შინაური, და თუ მოჰ-
კალით, ამას ეყოლება მშობლები, ძმები, ან თავ-სი
სატრფო, რომელნიც, რაც უნდა დიდი ხანი გავიდეს,
მე თუ ვერ მომისწრეს, ჩემ შთამომავლობას მაინც
დააზარალებენ, უკბენენ, შურს იძიებენ... სთქვა
მან, აიყვანა კულით და გარეთ გაუშვა...

მონადირეები სახტად დარჩენ...

ამავე დროს ახალი მასპინძლის შვილმა, შემო-
ვიდა თუ არა, მაშინვე კეტს წამოავლო ხელი და
გარეთ გავარდა.

— სად მიხვალ, შვილო, რა გინდა? — გამოე-
ღევნა დედა.

— ისა, რომა ჩვენებიანთ სანდრას თავი გაუ-
ტეხეს ჩხუბში, გალავანში, გაღმამხრელებმა და ამას
შევარჩენ?

ასე იციან აქ, თუ ვინმემ, მოსულმა, ადგილო-
ბრივს რამე დაუშავა, მთელი სოფელი დაედება, არ

აპატიებენ, თუ რომელიმე მათგანის მოკეთე არ არის...

გველიჭამია

ამ გველის შესახებ ბევრი მიჯიჰა-მოთქმა ასტყულა სტუმრებში, მაგრამ ერთმა სტუმარმა მთიულტა ხომ ყველა გააკვირვა თავისი ნაამბობით...

— ჩემი პაპი, თქვენაი კვენსამე, ას ოცი წლი-სა იყო, როცა მოკვდა. იმას ბევრი ძველი ამბავი უთქვამს; ისიც, აი, თქვენსავით მონადირე იყო და სულ ტყეებში ატარებდა დროს; მას კარგად ახსოვდა ძველი ომები, მეფე ერეკლეს ჯარები, ბატონ-ყმობა, ისე მოხუცი იყო, მაგრამ თვალის კარგად უჭრიდა, კბილებიც ჰქონდა და, რაც ყველას გვაკვირებდა, კარგი ყურთასმენა ჰქონდა... მას მეტ სახელად „გველიჭამიას“ ეძახდნენ.

როგორც ის იტყოდა, ხოლმე, როცა ის ჯი-ელი ყოფილა, ერთხელ თურმე ნადირობდა და ვი-ლაც მოგზაურ ფრანცუკს (ფრანგს) გამოეგლო აქეთ, რომელიც ფეხით მიდიოდა მანგლისზე და იქიდან თურმე ოსმალეთისაკენ. გზის მაჩვენებლად, გასაყო-ლად გაუძღვანიებია, კი ერთი ოქრო მიეცა ამის-თვის...

თურმე სიცხე-პაპანაქება ყოფილა, ტყის პირად ბილიკზე დაუსვენიათ ჩრდილოში. ამ დროს მათ წინ პატარა გველი გამოსრიალებულა, რომელიც ჩემი პაპისთვის მოეკვლევიანებია, თავი და კული მოექრა, გამოეწლა, გაეთალა ხის შამფური, აეგო მწვადად, ცეცხლი დაენტო და შეეწვა. ისე შეჰქცევია, ვი-თომც აქ არაფერიაო, ვითომც კარგი სუკიაო. პა-პაჩემიც მიუპატიჟებია მაგრამ იმას თურმე გული ერეოდა ზიზლით... მერე უფიქრია: თუკი ეს ქამს, ესეც ხომ კაცია, ადამიანი, არაფერი მოსდის და მე ვითომ რა მომივაო? თანაც იმ მოგზაურს ეთქვა, თუ შესჭამ, საუკეთესო სმენა გაგყვება სიბერემდი-სო. იმასაც აუღია და ჯერ ცოტ-ცოტა ციცქნა დაუწყია, შემდეგ კი რამდენიმე კაი დიდი ლუკმაც ედრუზა, ზედ კაი მავარი არაყი დაეღია და შემთვ-რალიყო...

შემწვარი თევზის გემო ჰქონდაო, იტყოდა ხოლმე, — დაათავა მთიელმა.

— ალბად ამისთვის თუ იტყვიან ხოლმე ჩვენს ხალხში, რომ ამა-და-ამ კაცს გველის სმენა აქვსო, ჩაერია გოგლა.

უსტარაულზე

დღეობა თავდებოდა, ერი იშლებოდა...

ჩვენი მონადირენი მასპინძლიანად ტყისკენ გა-ეშურენ...

აჰა, უსტარაულის წყარო, ტყის პირას...

ესაა საზღვარი მთასა და ბარს შუა...

— ეს რა ქვაა? იკითხა სოსომ, რა რამდენიმე საუკუნის წინეთ აშენებულ აუზს შეხედა, უსტარა-ულს, რომლის შუაგულშიც საფლავის ქვასავით და-ცერებული ლოდი მოსჩანს, საიდანაც ამოჩუხჩუხებს მთელ ამ მხარეში ნაქები წყარო, რომელიც გზას პოულობს აუზის ერთი მხრის განგრევიტ...

— როგორც ლეგენდა ამბობს, აქ უნდა იყო ს დამარხული რომელიღაც ქართველი გმირი, და ეს წყარო კი ცრემლებია, რომელიც დააფრქვია მას სამშობლომან, — მიუგო მასპინძელმა.

— შეიძლება ეს წყარო ციხე-დარბაზის იყო? — ჩაერია ვანო, რა შეხედა იქვე მაღალ კლდეზე ამა-ყად გადმომყურე ზემოციხის ნანგრევებს, რომელ-საც მარჯვნივ ჩამოუდის ცხირეთის ხევი მა-ღალი ჩანჩქერით, რომლის ნაპირებამდისაც ახწვეს ზემოციხის გაღვანა, რომლის დულაბიანი კედლები ეხლაც მოწმობენ თავის სიმაგრეს...

მონადირენი აჰყვენენ ტყიან ბილიკს და ავიდენ ზემოციხეზე, რომლიდანაც მოსჩანს, შეუიარაღებელი თვალითაც კი, მთელი ქვემო-ქართლი, და შორს კი — კავკასიონის მთაგრეხილი თოვლიანი ქედებით... ესაა სააგარაკო ადგილები სვიმონ მეფის და ლუარ-საბ მეორისა...

ეს უნდა ყოფილიყო სსახლე; დიდძალი სა-განძურია დამარხული ნანგრევებშიო, — ამბობენ...

ოქროს გუთანა

— ამ რამოდენიმე წლის წინად ერთი ჩვენებუ-რი თივას სთიბავდა აქ და ცელი თურმე შამფურს მოუხვდა და ნაპერწკლები დააკვსა; ცრუმორწმუ-ნე გლენს ჰგონებოდა ეს პეტრეთუბნის წყრომად, ეგერა, უსტარაულის თავზე რომაა ძველი საყდრის ნანგრევები, და შეშინებოდა, ჰგონებოდა, რომ ეს წმინდა ადგილია და ხატი თიბვას მიკრძალავსო; მიენებებია თავი და სოფელში დაბრუნებულიყო, სადაც ოჯახში ეთქვა ეს ამბავი; მეორე დღეს ძმებ-თან ერთად ამოსულიყო, შამფურის ქვეშ ამოეთ-ხარათ დიდი შიშით, რადგანაც ამბობენ, რომ ასეთ ადგილებს გველი პატრონობსო, — პატარა ქვევრი ეპოვათ, შიგ ძველი ოქრო-ვერცხლის ფულით, და ზეიდან ეღო პატარა ოქროს გუთანაო.

ის ოჯახი ყველაზე ღარიბი იყო ამ სოფელში და ეხლა, იმ ამბის შემდეგ, მათზე მდიდარი არავი-ნაა ჩვენში, — სთქვა მასპინძელმა.

ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ხედებოდენ მონა-დირენი როგორც ტყეში, ისე ბარში, ისტორიულ ნაშთებს: ციხეებს, კოშკებს, საყდრებს, ნიშებს...

— ამ წვერს იქითაა, სულ რაღაც 15 ვერსზე, მანგლისი. რუსები და ჩვენ ერთმანეთში ქალებსაც კი ვათხოვებთ, — წარმოსთქვა მხიარულმა მასპინძელ-მა, რა ზემოციხიდან მთისკენ გასწიეს.

მთაში

ეს მხარე მდიდარია საქონლით, ცხვრით, რძის ნაწარმოებებით: ერბო, კარაქი, ყველი; ბალები არაა, მთიანი ადგილა და ხეხილი ვერ ხარობს; არც ვაზი იცის, ამავე მიზეზის გამო; გარეული ხილი კი ბევრია; ნოყიერი საძოვრებია; მთიულები მისდევენ მეფუტკრეობასაც. სიმინდს არ სთესვენ, უფრო მოდის ქერი, ღიკა, კართოფილი; სწავლა-განათლება, ბართან ახლო მყოფობის გამო, სასურველ ნიადაგზე დამდგარი; ძველი, მამა-პაპური ადათები აქ კიდევად დარჩენილი, მაგრამ ახალი ცხოვრებაც შეიჭრა მათში, რაიც თანდათან სპობს ძველ დახვეწებულ ჩვეულებებს; აგერ აქვეა უკვე გაქართველებული ოსების სოფლები. ესენი, მთიელები და ბარელები, ერთმანეთში ძალიან მოყვრობენ, ქალებს ათხოვებენ, ერთმანეთში ძმური განწყობილებით ცხოვრობენ...

შურისძიების ნიადაგზე სისხლის აღებას, რომელსაც ძველად მისდევდნენ მთიულნი, ეხლა იშვიათად-ლა აქვს ადგილი.

ჩვენი მონადირენი ისე გაერთვენ ამ მხრის სილამაზით, მთიელთა და ოსთა სტუმართმოყვარეობით, რომ რამოდენიმე დღე დარჩენ ოსების სოფელ ცხავერში, მთიულების სოფლებ გოსტიბეში, გარგალში, რკონში და სხვაგან...

ყველგან საუცხოვო სტუმართმოყვარეობით გვხვდებოდნენ...

ნიკომ ჩაიწერა უბის წიგნში მრავალი ანდაზა, თქმულებანი, ლექსები, რომლითაც მდიდარია მთა მცირე მთიულეთი...

აქ შეხვდნენ მრავალ პარტიულსაც და ახალგაზრდა კომკავშირელებსაც, რომელთაც გამოესაუბრენ მთაში პარტიული მუშაობის შესახებ.—წინად თითქმის ყველა გაურბოდა ჩვენს წრეს, მაგრამ ეხლა დიდი სურვილი და ლტოლვა პარტიის რიგებისაკენ, სთქვა მახარამ, რომელიც ამ მხარეში პირველ პარტიულ კაცად ითვლება. აღმასკომი აქაა მოთავსებული, რომლის თავზეც აქაც ამაყად ფრიალებს წითელი დროშა.

მონადირეთა მასპინძელს აქ ყველგან გამოუჩინდა ნათლიმამები და ნაცნობნი, ყველა ერთი-მეორეს ეჯიბრებოდა მათ სტუმრად მიწვევაში; ოსები უმასპინძლდებოდნენ ლუდით, არაყით, ღოთი, ხაბიზგინებით, ცხვრით, ყველით, კარაქით; მთიულებიც ასევე—ცხვრით, კარაქით, ერბოთი, ხაჭაპურებით, არაყით, მაწვით, ხინკალით, თაფლით...

ღვეინამუხლის *) ტბასთან

მთიულები კარგი მონადირე და მოჯირითენი არიან; მათ სტუმრებს ძველებური იარაღით ფარეკა-

*) ღვეინამუხლი—ღვეის ნამუხლი.

ობა აჩვენეს, გაუმართეს ჯირითი და ნიშანში სროლა თოფით, ისრით; შემდეგ მხიარულნი ჩემდენს გაინადირეს უღრან ტყეში სტუმრებთან ერთად.

— აჰ, ნუ, ხელი დაუჭირა გოგლამ სოსოს, რა ჯიხვი კლდეზე გადმოდგა და მიწანში იღებდა.

— რა იყო? შეეკითხა სოსო გაკვირვებული.

— აქეთ ამ იშვიათ ნადირს, ირემს, ჯეირანს, შველს აღარა ხოცავენ, რომ იქნება მომრავლდესო, და...—მიუგო გოგლამ.

— რა უშავს, შენი კენესა-მე, ახალე, — უთხრა მახარამ.

— ჩვენ სტუმარს როგორ დავუშლით ამ სიამოვნებას?—სთქვა მანვე, მაგრამ მონადირენი უარზე იდგენ. მაშინ აიღო და თვალის დახამხამებაზე გადმოჩნხა ჯიხვი ფლატეზე...

ბევრი გარეული ფრინველი დახოცეს კიდევ. ჩვენს მონადირეებს ერთი კიდევ გაუმასპინძლდნენ კარგად და გამოაცილეს მხიარულად.

— იმედია, არ დაგვივიწყებთ და კვლავ გვესტუმრებით, დავმოყვრდებით,—უთხრა გოდერძამ და გამოსამშვიდობებელი ყანწი გამოცალა.

— კარგი, სიამოვნებით; ვაზაფხულზე გეწვევით,—მიუგო ნიკომ და მადლობა გადაუხადა ასეთი დახვედრისათვის.

აქეთ ჩვეულებად აქვთ, რომ, უცხო კაცს რომ გაიცნობენ, დაიოყვრონ, მოკეთედ გაიხადონ...

მონადირული ტრაბახი

ჩვენმა მონადირეებმა, რა დაეშვენ თრიალეთის კალთებიდან, ღვეინამუხლის ტბასთან შეისვენეს ნახულ-გაგონილით და დახვედრით ნასიამოვნებმა. გოგლამ ცეცხლი დაანთო, ვანომ შამფურები გათალა გასაკლის ჯოხიდან და ცვრიანი წვადები აშიშხინდა, რომლის ნოყიერმა სუნმა დაატკბო ყნოსვა...

ამ ტბაზე გარდმოცემა ამბობს, რომ ერთე რომა გმირმა ღვეი დასცა და მის ნამუხლში ეს ტბა გუბედ ჩადგაო...

ამოალაგეს, თუ რამე ჰქონდათ, საუზმეულობა ჩანთიდან.

აქ შემოუერთდა მათ რამდენიმე მთიელი მწყემსიც, რომელთაც ერთი კაი ჭედილა დაჰკლეს, გუდებიდან ამოალაგეს ახალი ყველი, კარაქი, ხმიადი, ხაჭაპური და არაყიც...

როგორც ჩვეულებადა აქვთ, გააბეს ბაასი, ოხუნჯობა და ზოგიერთმა მონადირემ ხომ მონადირული ტრაბახიც დაიწყო:

— მე რომ აღაზნის ქალაში ვნადირობდი, იმდენი ხოხობი და შვლები დავხოცე, რომ სამი ურე-მი ძლივს წამოიღებდა,—წარმოსთქვა სოსომ.

— ჰმ... ეგ რა არის! ყარაიას ტყეში ტახებზე რომ ვიყავით, ყველა მონადირენი შემომეფანტენ, რა დალესილ ეშვებს შეხედეს, მაგრამ მე მარტო შევაბი მთელ გროვას; ტყვია-წამალი რომ შე მომაკლდა, ხელდახელ შევები, რადგან გაშმაგებით შემომეხვიენ და გაფატვრას მიქადოდენ... მარა მოგეცათ შვებ, მე იმათ დღე დაფყენე! იმდენი დავხოცე, რომ რამდენიმე ვაგონი ძლივს ზიდავდა, — და იწყო ვანომ

— მოიცათ, მოიცათ, ეი, დაუსტვინე! მოუხსენით პირი ტყუილების გუდას! — ჩაერია ნიკო და ასტყდა სიცილი.

ირემი ვარსკვლავით

სალამო ახლოვდებოდა...

შეე გაღიხარა რკონისკენ და ცამ პირი შეიბურა ღრუბლებით.

— წავიდეთ, ბიჭებო, თორემ აქ კოკისპირული წვიმა იცის, და ვაი თუ... გააფრთხილა გოგლამ.

გამოემშვიდობენ სტუმართმოყვარე მთიელ მწყემსებს, წამოიკიდეს ნანადირევი ფრინველები, ხობებები, გარეული იხვები, კურდღლები, ერთი პატარა შველი, მელა და დაეშვენ თავქვე ოხუნჯობით, მხიარული სიმღერით...

— „ავთანდილ გაღინადირა ქედი მაღალი ტყიანი,

ვერც მოჰკლა ფური, ვერც ხარი, ვერცა ირემი რქიანი“.

შემოსძახა მასპინძელმა.

— მართლაც რომ ლეგენდების ბუდე ყოფილა ეს მხარე, — წარმოსთქვა ნიკომ, და გააბეს ბაასი შთაბეჭდილებების გაზიარებით.

— ჯერ სადა ხართ, მეორე მოსვლაზე დაგტვირთავთ უფრო საინტერესო ამბებით, — უთხრა გოგლამ ღიმილით.

— თქვენ რაც გინდათ ისა სთქვით და ამოღებთ — ესტატე კავშირის საპატიო წევრად აღიარებენ რჩიოთ, — იხუმრა ნიკომ.

— რაზე? — შეეკითხნენ აქეთ იქიდან.

— როგორ თუ რაზე?! ჯერ ერთი რომ მონადირე ყოფილა და მეორეც იმიტომ, რომ მის ირემს რქებ შუა ჯვარი გამოსახვია, — მიუჯო ნიკომე.

— ჰო, ირემი ძველად, რატომღაც, წმინდა ნადირად იყო მიჩნეული, — წარმოსთქვა სოსომ.

— რა ვიცი, რატომ ჩვენ კი არ შეგვხვდა ირემი ჯვრით? — ჩაერია ვანო და გაისმა მხიარული სიცილი.

— სამაგიეროდ ჩვენს საწვევო წიგნაკზე ხომ ირემია დახატული რქებ შუა ჩაქუჩ-ნამგლის გვირგვინში, წითელი ხუთქიმიანი ვარსკვლავით?

— რა შედარებაა?!

— მაშინ, ქრისტიანობის ხანაში, მონადირენი თუ ირემს ხატავდენ ჯვრით, დღეს, კომუნისტების ხანაში, ჩაქუჩ-ნამგალს, ხუთქიმიან ვარსკვლავს ვხატავთ ირემის რქებში; ქრისტეს მოძღვრების მიმდევრებს თუ ჯვარი ჰქონდათ სარწმუნოების სიმბოლოდ, ჩვენ კომუნისტების სიმბოლოდ ესა გვაქვს — ჩაქუჩ ნამგალი ხუთქიმა ვარსკვლავით, რაც შრომის მეუფების ღებია. ჩვენ მას ვატარებთ უბეში, — დაათავა ნიკომ.

ცის ღრუბელთა ღეგა ფარდას ელვა აეკლანა გასრიალებით იქეკა და გრიალში ტყე დაიფარა უბით, რომელიც უკან რჩებოდათ ჩვენს მონადირეებს...

შორს, კაბადონით, ჩამოეშვა შავი სვეტები...


— მალე იარეთ.

სიომ ფრთები აიკეცა და ქარმა მოჰართა ქამანჩა...

წვიმამ ცრა იწყო...

ტყეს ნისლი აეხვა...

ისმოლა ხეში გადავარდნილი ნიაღვრის ხრიალი...



ქართლიდან ულის სტაგმა

ლ ა მ ე

ლაქვარდ ცის სივრცეს
 თვალწარმტაცსა და მშვენიერსა,
 მთლად გადუცლია
 სიფრიფანა პირბადე ღრუბლის,
 ცისა წიაღი
 ციაგ ვარსკვლავთ გადაუჭედავთ,
 ვით ძვირფასი ქვით
 შეჭედილი საკრავი შუბლის...

აგერ, მთის წვერი
 ვერცხლის ფერად შემოიღება...
 ცოტაც, და მთვარე
 ამოცურდა აწყაღ ცაზე...
 დაჰბერა სიომ,
 ვარდის კოკორს მიუაღერსა,
 და თეთრ გვირილას
 ჩუმად რაღაც უთხრა ტკბილ ხმაზე...

ველზე ნაკადი
 მისრიალებს, მიხტის, მიიმღერს,
 ყვაფილებით აქვს
 მოქარგული მას გზა ხვეული;
 ჩუ, სალამური!
 მწყემსი როგორ ნახად აკვნესებს,
 მთლადაც აჯადოებს
 დიად ღამეს მის ხმა გრძნეული...

ვიშ, რა კარგია
 ეს ბუნება, მასში სიცოცხლე!
 მსურს ჩავეხვიო,
 მას ვუერთდე მისივე შვილი,
 ვიქცე ნაკადად
 მოკამკამედ, მნათობთა სხივად,
 თუნდაც ყვაფილი
 ვიყო, სადმე ველად გაშლილი!..

ვიშ, რა კარგია
 ეს ბუნება ზეადმფრენი,
 რა დიადია,
 გულწარმტაცი ღამე ამ დროსა!
 ხარობს ბუნება,
 მღერის ყველა მისი სულდგმული,
 მსურს მეც ვუმღერო,
 ვუგალობო ტურფა წაღკოტსა!...

გ რშვილი.

ძავეკასიონის მთის ორწოხებში, სადაც იღებენ
 თავის სათავეს მოუსვენარი და მჩქეფარე მდინარენი
 არაგვი და ქსანი, რომლის სიახლოვესა ანკარა
 პატარა ლიახვის სათავეც, მდებარეობს იშვიათი სილა-
 მახის ტბა — ულის ტბა. მის გარშემოა ველური და
 ზვიადი კლდის ნამტვრევები, მარადი თოვლით დასე-
 რილი მთების მწვერვალები და უჩვეულო იდუმ-
 ლობა, რაც რაღაც ზღაპრული ქვეყნის შთაბეჭდი-
 ლებს ჰქმნის.

1924 წლის 18 აგვისტოს ერთი ოსის თანხლე-
 ბით გავემგზავრე ამ ტბისკენ. მოვამზადე ყოველივე,
 რაც საჭირო იყო, შევაკეთე ბანულები, წრიაპები,
 საჭერბარიო ქალაღი და ბადე. მზე ჯერ არც კი
 იყო ამოსული, რომ მე და ჩემი თანამგზავრი გიორგი
 სოფ. ტყვიავის ორღობებს ვცილდებოდით.

სოფ. ტყვიავი პატარა ლიახვის ნაპირას მდე-
 ბარეობს, გორიდან 18 ვერსის მოშორებით; ამ
 სოფლის ჩრდილოეთითაა გადაჭიმული კავკასიონის
 ქედი, „ოსეთის კავკასიონი“.

ჩვენ შეგვეძლო და გვეჩივნა კიდევ, რომ
 დისევის მთა, რომელიც წიფორის ქედიდან იტო-
 ტება, პირდაპირ გადაგვეჭრა, მით უმეტეს, ამ ქედი-
 დან საუკეთესო ხედია მთელ ქართლის ვაკეზე.
 ხელისგულივით გადაშლილია მთელი ვაკე, მდინა-
 რეებით დასერილი, შორს კი ლურჯი ცის ფონზე
 გაწოლილა თრიალეთის ქედი. მაგრამ ამ გზას აფუ-
 ხვიეთ და ლიახვის ნაპირ-ნაპირ წავედით. გავიარეთ
 ს. კარბი, მერეთი, ქსუისი, დმენისი. აქ თავდე-
 ბოდა ქართლის ვაკე; უკვე მთის კალთებში უნდა
 შევსულიყავით. სოფელ დმენისის ცოტა ზევით ლიახვი
 მთების კარიდან ვაკეზე გიჟმაჟად მოექანება, თითქოს
 ვიწრო ორწოხებს თავი ძლივს დაახწიაო. აქედანვე
 იწყება მრავალი ხელოვნური არხი.

იქ, სადაც მედიდურად ამართულა სოფ. ვანა-
 თის დიდებული ციხე, გავედით ლიახვ გაღმა. ამ
 ციხის ძირში მოსჩქეფს დაუდგრომელი და მოუსვენ-
 ნარი ლიახვი.

სოფელ ვანათიდან უკვე მთებში ვართ, კავკა-
 სიონის წინამორბედთა კალთებზე; სჩანს, წინად ეს
 მთები დაბურული ტყით იყო დაფარული, მაგრამ
 ადამიანის ხელს თავისი დაღი დაუჩენია: გორაკები
 და ქედები გადახრუკულია, წინანდელი ტყის ადგი-
 ლი ეკლიან ძეძვს დაუჭერია, რომლის გარშემო
 ქართლის ვაკეების მშრალ ადგილთა მოყვარული
 მცენარეებია: ურო, ქარცეცხლა, ოქროცოცხა და სხვ.
 ზოგი ქედები ჯაგრცხილას ხშირი ბუჩქებითაა დაფა-
 რული. აქ ცხადად სჩანს, რომ ტყის თანასაზო-
 გადღობათა ადგილს ქართლის ვაკის მშრალი ადგი-

ლების მცენარეულობა იჭერს; ესენი ლიახვის ნაპირებიდან მოიწევენ ზევით, და ამას ერთგვარად ადამიანიც უწყობს ხელს: დაუნდობელი ჩეხვა ტყეების, ახოებად გაკაფვა და გატეხა ხელს უწყობს ფერდობების ჩამორეცხვას და გამოფიტვას, სადაც ზემოხსენებული მცენარეები ადვილად სახლდებიან.


რაც ზევით-ზევით მივდივართ, ფერდობები თითქოს ხალისდება, მაგრამ საერთო სურათი არ იცვლება. გზის აქეთ-იქით პურის ნათესებია, უფრო ხშირად არის დოლის პური, თეთრი და წითელი, და დიკა; ადგილ-ადგილ ჩოქელა სიმინდის ნათესები მოსჩანს. ლიახვის ნაპირას ყანა მრავალ ადგილას

სჭარბობს; უფრო ხშირად სთესავენ ერთად ქერს და დოლის პურს, რომელსაც ქეჭრელს ეძახიან. მიწა მწირია, ღორღიანი, როგორც ჩვეულებრივად მთაში; აქ თუ სამ წელიწადში ერთხელ მაინც არ გაანოყიერე ხელოვნურად, გამოიფიტება და სულ გამწირდება. ვალმა, ტყიან ქედებში, მოსჩანს მოტიტვლებული ადგილები. ეტყობა, ახოებია.

— ეხლა აღარ ვარგანან, — მეუბნევა გიორგი, — მოსავალს აღარ იძლევიან.

— მერე რას უშვრებით იმ მიწებს?

— არაფერს, ორჯერ-სამჯერ დავთესავთ და მერე ისე ვარჩენთ, — მოკლედ მიპასუხა.



კავკასიონის ქედი პატარა ლიახვის ხეობაში

მოჭრილია, მაღლა მთის სერებზე კი ოდნავადაა შეყვითლებული.

შუაღლე გადახრილი იყო, როდესაც სოფელ ბელოთში შევედით; აქ კიდევ ეტყობა არჩილ მეფის სასახლის ნანგრევები, სადაც ვეებერთელა კაკლები სდგას. ეს კაკლები თავისი არაჩვეულებრივი მსხვილი ნაყოფითაა შესანიშნავი.

ჩემი მისვლა ყველა სოფელში დიდ ინტერესს იწვევდა: ქალაქებით ზურგზე, საკვირველი ჯოხით ფელში (წერაყინა) ზოგს მიწისმზომელი ვეგონე, ზოგს კიდევ ტყეობიდან დაბრუნებული ჯარისკაცი.

ს. ზონკარში მივედით. ზონკარშიც იგივე ითესება, რაც ქვევით (ბელოთში), მაგრამ, ეტყობა, ქერი

ასე ნადგურდება ტყე, რომელიც თვალისჩინივით უნდა იყოს მოვლილი.

ზონკარის პირდაპირ, ლიახვ ვალმა, პატარა სოფელია; ამ 25 წლის წინად მოსწყდა მეწყერი და საშინელი ხულით წამოვიდა ლიახვის ნაპირისკენ, დაანგრია სახლები და რამდენიმეს ადგილი უცვალა, ძირს, მდინარის ნაპირას ჩამოიტანა.

მეწყერების ჩამოქცევა გახშირდა ამ ბოლო დროს. ამისი ერთ-ერთი მიზეზი ტყისადმი უდიერი მოპყრობაა.

გიორგი ზონკრელია და ლამის ვასათევად მასთან წავედი. ხის სახლია, წიფლის ქდეული, ყავრით დახურული. აქ თითქმის ყოველი სახლი ასეთია;

ხშირად უკანა მხარე პირდაპირ ფერდობზეა მიბჯენილი ისე, რომ იქ კედელი საჭირო არ არის და კედლობას მიწა სწევს. გიორგის ჯალაბობა ჟივილ-ხივილით გამოვევება, ჩამოგვართვა ბარგი და მიგვიწვიო სახლში.

მე მოვხსენი აბგას პირი და ბავშვებს ვაშლი და სხვა ხილი დაუფრიგე. აქ ხილი იშვიათი მოვლენაა, ზოგი არც მოდის; გინდ მოდიოდეს, საკმარისი ადგილი არცა აქვთ, სახლის ნახლობლად პატარა ბოსტანიც კი დიდი საქმეა. შიგ რამოდენიმე ძირი კიტრი რომ ეთესოს, მთელი ოჯახი უფლის და ელოლიავენბა... ოჯახის უფროსს გარდა უფლება არავის აქვს, რომ მოგლიჯოს. ბოსტნის ნაპირას შეიძლება ერთი ორი ძირი ქლიავი და ვაშლი იდგეს, სიცივეების გამო უფრო ხშირად მუავე.

შუაგეცხლი დაანთეს, ვეებერთელა ხე შემოათრიეს და დაუდეს ცეცხლზე. რამდენიც დაიწვებოდა, იმდენი წინ წასწევდენ: შრომის გამარტივებაა, დაჭრა აღარ დასჭირდებათ. ოთახში ბოლი დადგა. მე და გიორგი დაბალ სკამებზე ჯავსვეს, თავათ დაფუსფუსებენ, ნამგზავრს არ დასაქმებენ იოლად.

ქალებმა ხაბიზგინას (ოსური ხაჭაპურის) ცხობა დაიწყეს, მოსულ სტუმარს პირველად იმით უმასპინძლდებიან. სწრაფად გამოაცხვეს, ხის ტაბაკაზე დასდეს, მოასხეს ერბო და მოგვიტანეს. ჩვენ გვთავაზობენ, თვით საუბრობენ, ხელს არ ახლებენ. ესეც ერთგვარი თავაზიანობაა, რომელიც, უეჭველია, სიღარიბის ფონზეა შექმნილი: იმდენი არა აქვთ, რომ მთელი ოჯახის საკმარისი გააკეთონ.

ამ დროს ქერიდან შემოგვესმა მოუსვენარი ხშირი ბაკიბუკი: რალაც ცხოველები დარბოდენ ქერზე.

— ალექსიმ თხა მორეკა, — სთქვა გიორგიმ და ქალებმა წამოავლეს ხის კათხებს ხელი.

— თხას ქერში ავრეკავთ ხოლმე, — ამიხსნა გიორგიმ; იქვე გვერდით, ხშირად კი საცხოვრებელ ბინაში, მსხვილფეხი პირუტყვი უბიათ.

ამ დროს შემოვიდა პატარა გაშავებული ბიჭუნა, 10-11 წლისა, მამისეულ ჩოხაში გამოხვეული, მამას მხიარულად მიესალმა და ყველაზე დიდი ვაშლი მიიღო. ესაა მათი ოჯახის თხების მწყემსი. უკვე ოთხი წელია, რაც თხებსა მწყესავს, ცხვარი კი სხვებსა ჰყავთ უფრო მალად მთებში.

მცირე ხნის შემდეგ აღულდა თხის რძეც და ოჯახმა მით ივანშმა. თან ატანდა ნაცარში გამომცხვარს, უფრო კი მხოლოდ ნახევრად გამომცხვარს, ქადს. ოსები მას „ქარჯინას“ ეძახიან.

ძილის დრო იყო. გავიტანე ნაბადი და გულა ერდოზე დასაძინებლად; თივა უკვე გაეშალათ. ის იყო დავიწყე ქალამნების გახდა, რომ ახალგაზრდა

ქალმა წამოატანა ხელი და მითხრა, რომ ის გამბდიდა. მე ვიუარე, მაგრამ გიორგიმ და მისმა უძილომ ძმამ მითხრეს: „ახალი რძალია, წესია, რომ ოჯახის სტუმარს ახალგაზრდა რძალმა დახადოს ფეხთო“... მე არც ახლა დავთანხმდი და მაშინ რძალმა მაზლის ფეხსაცმელებს დაუწყო გახდა.

— მაშ რად მინდა ოჯახში, სთქვა გიორგიმ, — მაგის მამას არსენამ (ქმარმა) ვ ძროხა აუყვანა, 10 ცხვარი, ორი საჩოხე და წელიწადნახევარიც ისე ემსახურა და მხოლოდ ამის შემდეგ მოიყვანა ცოლად...




წიფელი (ფოთოლი, ტოტი და ნყოფი).

— ეს ხომ ყიდვია? — ვფიქრობდი და ვუმხერდი ამ ქალებს, რომელნიც უხმოდ ასრულებდენ ყოველ ბრძანებას.

— ფეხი დაიბანე, — მეუბნება ალექსი და ვხედავ, რომ იმავ რძალს სურით უჭირავს წყალი. ვართმევ, მაგრამ არ მანებებს, სანამ ქმარმა არ უბრძანა...

— ეჰ, შენ რათ უნდა გაისარჯო, ქალი უნდა გვემსახუროს...

დილით ადრე მივემგზავრებით. ვიწრო ბილიკით ჩავიბრინეთ ზონკარის მინდვრები, სადაც ქერისა და პურის ჯაურები დგანან და მარხილებით ეზიდებიან კალოზე. ჩავედით მდინარე ლიახვის ნაპირას და ქალებით მივდივართ. ადგილ-ადგილ კლდე და მიწა ჩამონგრეულა. მის ქანი კირქვა და სხვა ნალექი ჯიშებია, მრავლად მხვდება ტუფიც.



გალმა მთის ქედები, წიფორის ქედი, ტყითაა შეხალისებული; ეტყობა, ზევით უფრო დიდი ტყე დაიწყება. ლიახვის ქალებზე ძალიან ბევრია ტყის ვაშლი (მაჟალო) და პანტა ხშირად მთელი ტყის შთაბეჭდილებას სტოვებს, ისე ასხია, რომ ფოთოლი არც კი ატყვია. ყოველი ძირი განსაკუთრებული ჯიშისაა, განსაკუთრებული მოყვანილობის და შეფერადების ნაყოფი ასხია. ასეთი ხილის ქალებით მივედით სოფ. აწრიხევში და ასევე მივდივართ იქიდანაც კარგა შორ მანძილზე.

სოფ. აწრიხევი ქართველებით დასახლებული უკანასკნელი სოფელია; იქ თითქმის ყველა ხელოსნებია; აკეთებენ წიფელის სკამებს, სკივრებს, კილო-



თელა. ტოტი, ფოთოლი, ნაყოფი, ყვავილი.

ბნებს და სხვა, მთელი მათი ნახელოვნები: კილობანი, სკამი თუ სხვა, უწებოოდ და ურკინოდაა შეკრული მჭიდროდ და კარგად. ამ შინამრეწველობის ნაყოფს ჰყვითან ქართლში, უფრო კი პურზე და სიმინდზე სცვლიან. მთელი ზამთარი ამზადებენ, აკეთებენ და ზაფხულობით ქართლის სოფლებში ხშირად შეხვდებით აწრიხევებს ცხენით, რომელსაც თავისი ნახელოვნები დააქვს გასაყიდად. ამის გამო აწრიხევლები უფრო შეძლებულად ცხოვრობენ, ვიდრე მათ ვეზობლად მცხოვრები ოსები.

აწრიხევში ბევრია ქვიტკირის სახლი, ზოგი ორსართულიანიცაა; ქვედა სართულში ჩვეულებრივად ბოსელია გამართული.

აწრიხევის გარშემო ტყე გაჩანაგებულია, ხვის ნაპირის ქალებზე სიმინდი სთესიან და მიწის გვერდით ცეცხლი ანთიან. ვკითხულობ მიზეზს და მეუბნებიან, ლამამობით დათვი ჩამოდის, სიმინდს აფუჭებს და მის შესაშინებლად ვანთებთო. ზოგან საფრთხობელაც არის გაკეთებული: ბორბალია, თხელი ყავრის ფრთები აქვს, წყალი ატრიალებს და ფრთები ხვდება წყალზე გადებულ ხეს; ამის გამო ეს ბორბალი ისე საშინლად ხმაურობს, რომ კაცს გააყრუებს. განუწყვეტლივ გააქვს ასეთი ხმაური ამ ბორბალს.

აწრიხევიდან ორ ვერსზე შევდივართ დაბურულ, ხშირ ტყეში. მთავარი ჯიშის წიფელია. მისი თეთრი ლამაზი ტანი ამაყად ამართულია და ტოტები მალა აქვს გაშლილი. ალაგ-ალაგ მთლიან ქალებად და ზოგან კი თითო-ოროლად ტყეს ახალისებს რცხილა. შედარებით იშვიათია მუხა და ცაცხვი, მაგრამ წიფელის ხეების ჯარში ესენიც გამოჩნდებიან ხოლმე.

— ცაცხვი უფრო მეტი იყო, — მეუბნება გიორგი, — მაგრამ ხალხმა არ დააყენა, სჭრიან, მეტადრე აწრიხევლებს უყვართ, კარგი ავეჯი გამოდისო.

სიკარგეც სახიფათოა ამ დალოცვილ ბუნებაში!

ქვე-ტყეც მდიდარია მცენარეულობით და სხვადასხვა ბუჩქებით, ხშირად მთელ დიდ მანძილზე იელის გაუვალი ნაზარდებია. მიუხედავად იმისა, რომ ქართლელი და აქაური მას ძალიან ემტერება, ეს ბუჩქნარი მაინც აუარებელია და პირი გადაგვარებისაკენ ჯერაც არ უქნია (იელისგან სასიმინდეებს სწნავენ, ძალიან დიდხანს სძლებს). იელის ტოტებზე ამართულია და თავის წითელ კუნწულებს ნელ-ნელა არხევს ტყის გზების სიმშვენიერე — ქნავი, ჩრდილიანებში კი მოცვი მოსჩანს. ის უკვე დამწიფებულია, მით პირის გასველება შეიძლება. თხილი ხომ ყოველ ნაბიჯზეა და როდესაც ტყე შეთხელდება, ყველას ადვილს ის იჭერს. აკი ამიტომაც ამ ტყეს ოსები „აღსარგინას“ (თხილნარს) ეძახიან. ამათ გარდა ტყის დამახასიათებელი სხვა მრავალი მცენარეულობაა, რომელთა ნიმუშებს ფრთხილად ვავროვებ.

ტყე ხშირად იმდენად დაბურულია, რომ მზის სხივიც კი ვერ ატანს მის ხშირ ფოთლებში. ვეებერთელა წიფლის ხეები გარინდებულები სდგანან, ალაგ-ალაგ მთის ნაკადულის მოუსვენარი ჩხრიალი თუ არღვევს ტყის იდუმალობას.

გზა ხშირად ისევ ლიახვის ნაპირას ჩამოუხვევს ხოლმე და ეხლა უკვე ცოტა საფრთხილოა აქ სიარული. „გაზაფხულზე — მეუბნება გიორგი — სიათელი ოსი მოდიოდა ცხენით, სიდედრი მოჰყავდა; მთვრალი ყოფილიყო, გაუფრთხილებლად მოდიოდა და მდინარეში გადაიჩხენ. თვითონაც დაიღუპენ და

ცხენიც. გაზაფხულზე ლიახვი ძალიან აღიდგება ხოლმე,—დაამთავრა თავისი მოკლე ამბავი.

აწორიხვიდან 10—12 ვერსზე ლიახვს აღმოსავლეთის მხრიდან უერთდება აქაფებული ფაჩურის ხევი. მშვენიერ მწვანე მოლზე ჩამოვხსენით ბარგი. მოშორებით ვეებერთელა მაქალო ხეებია. მათ დახვევიან გოგო-ბიჭები და ბერტყავენ ვაშლს.

უცბად წყალმა საშინელი შხუილი დაიწყო. გიორგიმ იძრო ხანჯალი და წყლისკენ გადახტა, მეც გავყევე. დავინახე, რომ მიმდინარეობის წინააღმდეგ წყალი იჭრებოდა, თანაც შავ ზურგს მოვკარ თვალი.

— ორაგული იყო, — მითხრა გიორგიმ და თან ხანჯალს აგებდა ქარქაშში.

— მერე, ხანჯალი რას იძრე, ხომ ვერ დაეწეოდი?

— რა ვიცი, ხშირად ნაპირზე გამოვლენ ხოლმე და იქნებ მომესწრო.

ამ ლაპარაკში ვიყავით, რომ თავს ერთი შვიდი ცხენოსანი წამოგვადგა. ცხენები სავსე ტომრებით იყვნენ დატვირთულნი. მოგვესალმენ, მივესალმეთ. ჩამოხსნეს ბარგი და ცხენები საძოვრად გაუშვეს.

ესენი ქნოლოელები გამოდგენ, (ჩვენ ქნოლოში უნდა ავსულიყავით, იმის იქით სოფლები აღარ არის), ბარიდან სიმიინდი მიჰქონდათ.

— მაშ რა ვქნათ, თქვენი ჭირიმე, საკმარისი ჩვენში არ მოდის. ქერისა და კართოფილის მეტი არა მოდის რა და ხან ისიც ვერ ასწრებს შემოსვლას. ძნელია, ძნელი ჩვენი ცხოვრება, — დაიჩივლეს თავის ბედზე.

კარგახანს ვისაუბრეთ. აჰკიდეს ცხენებს ბარგი, ჩვენც ჩამოგვართვეს და გავუღექით გზას. მცირე მანძილი, სადაც ლიახვს ბისუეთის ხევი უერთდება, გზა ვაკეთ მიდის, ლიახვის ქალაზე. აქ ტყეში საშინელი სინესტეა, დიყი და დუცი იმსიმაღლეებია, რომ ცხენიანი კაცი დაიმალება.

ჩემ თანამგზავრებში დიდი აღტაცება გამოიწვია უკადრისამ: როდესაც მის ნაყოფს ხელს მივაკარებდი, თესლებს უცბად ჰფანტავდა. როდესაც მომწიფდება, თუ მოხვდა რამე, მისი პარკი სკდება და თესლი აქეთ-იქით იბნევა. ლათინური სახელიც „ხელს ნუ მახლობ“—ს ნიშნავს.

ყოველი მათგანი ვალდებულად სთვლიდა თავს, მოეწყვიტა და ჩემი თანდასწრებით ეხლო ხელი; როდესაც თესლი გაიფანტებოდა, სიხარულით ტაშს შემოჰკრავდენ ხოლმე, „აქამდე რატომ არ ვიცოდითო“, — ნანობდენ.

ბისუეთის ხევთან იწყება გრძელი უა დაუსრულებელი—8—10 ვერსი—აღმართი. ბილიკი ვიწროა, ცხენი გზას ვერც კი აუხვევს.

წიფლის ტყე უფრო ხშირია, ხეები—უფრო ბუმბერაზი. მალე წიფელი თხელდება და მის ნაცვ-

ლად ჩნდება მშვენიერი შიშაკი, მაღალი მთის მუხა მისი დიამეტრი 40 სანტიმეტრს არ აღემატება მაგრამ სამაგიეროდ სწორია და მაღალი.

— აქ რომ კაცი ადვილად უღვებოდეს, ერთ წელიწადში ამოგდებდენ ამ ტყესო, — შენიშნა ერთმა.

მივდივართ აღმართით და მუხაც თხელდება, გამოჩნდა მაღალი მთების კოპწია სილამაზე, თეთრტანა არყის ხე. მის ჩრდილებში გადამწვანებულია მთის მარად მწვანე ბუჩქნარი დეკა, ადგილ-ადგილ მოსჩანს ბუსუსფოთლება უზანი და მათ ჩრდილებში კი აუარებელი ჟოლო, რომლის წითელი, მწიფე ნაყოფი მორცხვად გვიწვევს თავისკენ.

მგზავრის ყურადღებას უეჭველად იპყრობს ვეებერთელა თავისი Centiana ლამაზი, დიდრონი ყვავილებით.



ოსები. ვაყკაცი და ბიჭი.

მინდა დიდი, ძალიან დიდი თაიგული შეეკრა, მაგრამ ყოველი მისი ბუჩქი ასეთი თაიგული არ არის? თითო ძირიდან 5—7 ღერო ამოდის 10—12 ვეებერთელა ლურჯი ყვავილით.

ამ ადგილებში არის ძველ შენობათა ნანგრევები, რომელთაც „დევთა შენობებს“ ეძახიან. ეს იმიტთა გამოწვეული, რომ დიდი ლოდებით არიან ნაშენნი, იქვე მათ ძირშია აკლდამები, სიპი ფიქალის კედლებით, თავზე ასეთივე ფიქალი ახურავს, რამოდენიმე გადარეცხილია და აკლდამაში შოსჩანს ორისამი ჩონჩხი. ვფიქრობდი, რომ ციკლოპური შენობები იყო, მაგრამ ესენი საშუალო საუკუნეთა შენობანი აღმოჩნდა, და თუ ოსები „დევთა შენობებს“ ამათაც ეძახიან, ეს იმიტომ, რომ დიდი ლიახვის ხე-

ობაზე არის ნამდვილი ციკლოპური შენობები, რომელნიც „მდევთა შენობათ“ იწოდებიან.

ტყიდან ამოვედით და ახლა უკვე გაშლილ სუბალბებში ვიყავით; მშვენიერად ბიბინებდა შალალი მთის მცენარეულობა: მთის ლილილო, დვალურა, ყვითელი სამყურა, მშრალ ადგილებზე თეთრი მიხაკი. ჩემი ყურადღება მიიპყრო განსაკუთრებულმა, ულამაზესმა რენარდის ნემსიწვერამ. ეს ჩვენი მთების დამახასიათებელი მცენარეა, სხვაგან არსად არ მოიპოვება, მაგრამ ჩვენშიც ასე დიდ ველებზე და დიდ მანძილზე მისი თანაბრად გავრცელება ფრიად იშვიათია.

ცხენოსნები აჩქარდნენ, სწრაფად ჰკიდებდნენ ცხენებს ბარგს: მალლა მთის წვერზე პატარა ღრუბელზე მიმითითეს, წვიმა მოვაო.



ოსური ძროხა.

წინ მართლაც მშვენიერი სურათი იყო, ქნოლოს ხეობა, დასავლეთისკენ — ჩაბარუხის ხეობა, საიდანაც მოჰქუხს მდ. ჩაბარუხი. პატარ-პატარა სოფლები არწივის ბუდესავით მიჰკვრიან მწვანე ფერდობებს, ტყე მარტოძირს, ხეობაში, მოსჩანს; ეტყობა, არყის ხეა. სოფლის მახლობლად ჩრდილო ფერდობები დეკათია დაფარული.

მართლაც დაბერა და დაისისინა ნიაჲმა, ღრუბელი ჩამოშავდა, ჩამოხნელდა მთელი ხეობაც. ხევიდან მდინარეთა ყრუ ქუხილი-ლა მოისმოდა... აცივდა. „აბა, ჩქარა“... მიერეკებიან ცხენებს, თან კუდით უჭირავთ, რომ ვიწრო ბილიკიდან არ გადაიხეხონ.

ცივმა ნიაჲმა ერთი კიდევ დაუბერა და, თითქო ეს იყო ნიშანი შავი ღრუბლებისათვის, გაიელვა,

განათა და დასტეკა, დაირუხრუხა. ცხენები შეფრთხნენ, ყურები სტკვიტეს და მოუსვენრად დაიფრთხნენ. მგზავრებმა დასტყვივდეს, ჩაიცვეს ცხვირის ტყავები და წამოვიდა ცივი, მსხვილი კოკისპირული წვიმა, აურია სეტყვა და ხოშკაკალა. ძვალ-რბილში გვივლიდა, ისეთი ცივი იყო... დაუბერა ქარმაც, რომელიც კინაღამ ქარიშხლად გადაიქცა. არა უშავს, ღრუბელს გაჰფანტავს, კარგი ნიშანია.

ჩემი ნაბადი საპერბარო ქალაქს გადავაფარე და ძაფაც არ დამრჩა დაუსველებელი. ისე შემეცვინდა, რომ კბილს კბილზე მაცემინებდა, მაგრამ მალე ცამ გადიყარა ღრუბელი და გამოჩნდა მზე, რომელიც დასავლეთისკენ კარგად გადახრილიყო, მაგრამ მისი სხივები მაინც სასიამოდ გვეალერსებოდა.

გზა გაგრძელდა. ჩვენი მგზავრები პატარ-პატარა სოფლებში მიიფანტნენ, ჩვენთან ერთი-ლა დარჩა მხოლოდ.


დედამიწას ბანდი დაეცა. მთების სილუეტები უკმენად გამოიციქირებიან. ჩავდივართ ხევში. „ფრთხილად იყავით“, — გვაფრთხილებს აქაური... და მართლაც სიფრთხილეა საჭირო, სველ ბილიკზე ღამით სიარული არ არის იოლი. სიბნელეში მოსჩანს მდინარის თეთრი ქოჩორი; არ მიყვარს მთის მდინარეზე ფენდაფენ ვასვლა, მაცდურია, მერე ისიც ღამე, მაგრამ ეს არ დაგვკირდა. მთის მწვერვალიდან თოვლის ზვაღი იყო ჩამოტანილი და მასზე გადავიარეთ. ისევ მალლა დავიწყეთ ასვლა.

აქ ოსურად შესძახეს და შესტყვივდეს. თითქოს ციდანო, ისე დაგვეყვდეს მალლიდან ძაღლებმა; მათი ძლიერი ხმა ამირანის ყურშას ყეფასავით მოედო ჩაშავებულ ქიუხებს და ორწოხებს. მთების გადაღმიდან უბუ გვიპასუხებდა. მალე მისწყდა ძაღლის ყეფა და მალლა, თითქოს მოციმციმე ვარსკვლავებთანო, გამოჩნდნენ ჩირაღდნები. წარმტაცი ღამაში სურათი იყო: ოთხი ხუთი ანთებული ჩირაღდანი აკანკალებულ სინათლეს ჰფენს ირგვლივ ყოველივეს ამ მიუვალ მთებში.

ნელი ნაბიჯით ავედით ზევით; ახალგაზრდები შემოგვეგებნენ, ბარგი ჩამოგვართვეს. ხელში არყის ქერქი ეჭირათ დახვეული და მას ეკიდა ცეცხლი. ესაა ამათი ელექტრონიც და ნათურაც; ამიტომ იყო, რომ არყის ტყეში გზის ნაპირებზე კანშემოუტლელი ხე არც კი მინახავს. ანთია და გააქვს ტკაცუ-ტკუცი, ცრემლებად ჩამოსდის შავი ფისი, რომელსაც ხშირად აგროვებენ და კეესავით ღეჰავენ.

5. კეცხოველი

(დასასრული იქნება)



საზავსულ მუშაობისათვის

მუშაობა ქალაქად

სუფთა ჰაერზე მუშაობა!—აი ძირითადი ლოზუნგი ნორჩ პიონერთა ორგანიზაციისა ზაფხულის განმავლობაში. ზოგიერთი კოლექტივები საზაფხულოდ მიემგზავრებიან ქალაქს გარეთ ბანაკად, აგარაკებზე, სოფლებში, მაგრამ ქალაქშიც მრავალი კოლექტივი, რგოლი რჩება სხვადასხვა მიზეზების გამო. რა უნდა აკეთონ დარჩენილმა პიონერებმა ქალაქში?

თუ ზამთარში პიონერებმა ვერ შესძლეს შეესრულებიათ კარგად ერთ ერთი თავისი კანონი: **კოლექტივის ირგვლივ შეუკავშირებელი ბავშვების დარაზმვა**—ზაფხულის განმავლობაში ამ საქმის შესრულება გაცილებით უფრო ადვილია: ზაფხულში ყველა ბავშვები გამოდიან ქუჩებში და მათი პიონერთა მუშაობაში ჩაბმა არც ისე ძნელი საქმეა.

ამ საქმისათვის პიონერებმა უნდა ისარგებლონ ყოველი მოედნით, ყოველი ბაღით და მინდორით.

თანდათანობით თამაშობით, სიმღერებით პიონერები აახლოებენ დარაზმულ ბავშვებს თავიანთ რიგებთან, ამორებენ მათ ქუჩის გამხრწნელ გავლენას, ასწავლიან მათ ახალ სიმღერებს, თამაშს, აცნობენ პიონერთა წესებს, კანონებს და ჩვეულებებს.

ეს მუშაობა არც ისე ადვილი საქმეა, და ამიტომ პიონერებმა მის შესრულებაზე დიდად უნდა იზრუნონ. ცუდია ის კოლექტივი, რომელიც არ აწარმოებს მუშაობას დაურაზმელ ბავშვა შორის.

რჩება რა პიონერ-კოლექტივი ქალაქში, ის ყოველგვარ საშუალებას ხმარობს თავისი ჯანმრთელობის გამოსაკეთებლად. მას შეუძლია მოაწყოს ექსკურსია-გასეირნებები ქალაქს გარეთ, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. ბავშვები თვალყურს ადევნებენ პირად ჰიგიენას. დიდ ყურადღებას აქცევენ სპორტს და სხვ.

დიდ ამოცანას წარმოადგენს ქალაქის კოლექტივისთვის კავშირის დაჭერა სოფელთან, სოფლის კოლექტივებთან. ზაფხული ყველაზე უფრო შესაფერისი დროა იმისათვის, რომ მტკიცე კავშირი დავიჭიროთ სოფლის ბავშვებთან. ამ დროს პიონე-

რებიც თავისუფალი არიან სკოლებიდან და კიდევ არის შესაძლებლობა მოვაწყოთ საქმიანი სტუმრობა სოფელში.

საერთოდ კი ქალაქში ბევრი რამ არის გასაკეთებელი და პიონერებიც მზად უნდა იყვნენ მის შესასრულებლად.

არ უნდა დაგვავიწყდეს კომკავშირის მეექვსე ყრილობის სიტყვები:

„უნდა შევძლოთ, რომ სახლშიაც, ქუჩაშიაც და სკოლაშიც ნორჩი პიონერი ეწეოდეს სასარგებლო შრომას, აერთიანებდეს თავის გარშემო ბავშვთა ფართე მასებს, იყოს ნამდვილი მათი ხელმძღვანელი“. ეს უნდა გაიგოს ყოველმა ნორჩმა პიონერმა, ეს უნდა ახსოვდეს მას კარგად.

რა უნდა აკეთონ ზაფხულში სოფლის პიონერებმა?

ზაფხულს პიონერებისათვის მოაქვს მხიარულება და მწუხარებაც. ზაფხულის მხიარულება—ეს არის სიტბო, ბუნების აყვავება; მზე მხიარულად ანათებს და ყოველ ბუჩქთან შეიძლება პიონერთა შეკრება. მაგრამ გარდა ამისა ზაფხულს მოაქვს თვითნებური პიონერისათვის ბევრი სამუშაოც. ზაფხულში მათ უნდა იმუშაონ, დაეხმარონ მშობლებს საოჯახო და სასოფლო მეურნეობაში და სხვ.

ყველაზე უმთავრესი, რაც უნდა კარგად დავიხსოვიოთ, ეს არის ის, რომ ზაფხულის განმავლობაში არ შეიძლება თავი დავანებოთ პიონერ-მუშაობას.

საჭიროა, რომ მთელი ზაფხულისათვის ამოვირჩიოთ მუდმივი შესაკრები ადგილი სუფთა ჰაერზე; შეიძლება ქოხ-სამკითხველოს ან სკოლის მახლობლად სწორ და მშრალ ადგილზე—მოედანზე.

საჭიროა ეს მოედანი ისე მოვაწყოთ, რომ ის მთელი ზაფხულის განმავლობაში გახდეს საყვარელი და საინტერესო ადგილი ყველა პიონერებისათვის და საერთოდ ბავშვთა ფართე მასებისათვის.

ცხადია, აუცილებელია ზაფხულშიც ვიშოვნოთ დრო, რომ მოვისმინოთ საუბრები, საჭიროა კოლექტივის წინამძღოლს, კომკავშირელებს, მასწავლებლებს ვთხოვოთ, ზაფხულის განმავლობაში გამართონ ასეთი საუბრები:

1) რისთვის არის საჭირო ტყე და როგორ დავიცვათ ის?

2) როგორ უნდა ვიცხოვროთ ჰიგიენურად და დავიცვათ თავი სხვადასხვა გადამდები ავადმყოფობისაგან?

3) რა სამუშაოს ასრულებს მიმდინარე პერიოდში კომკავშირის ადგილობრივი უჯრედი?

4) როგორ ცხოვრობენ საზღვარგარეთ ჩვენი ძმები (კომკავშირელები და პიონერები)?

5) როგორ და რით შეუძლიათ პიონერებს დაეხმარონ ქოხ-სამკითხველოს, სოფლის საბჭოს, გლეხკომს და სხვ.?

ამასთანავე საჭიროა პიონერებმა დაათვალიერონ და გაეცნონ, თუ როგორ მუშაობს აღმასკომი, როგორ აწარმოებენ თავის მეურნეობას მოწინავე გლეხები. ისინი უნდა დაუახლოვდნენ მახლობელ

სოფლის პიონერებს, მაგრამ მარტო ეს არაა საჭირო. პიონერი რასაც ნახავს საინტერესოს და სახელოდ ღებოს, ყოველივე უნდა უამბოს სახლში დაბრუნებისას მშობლებს, დებს, ძმებს და სხვ.

სოფელში ცხოვრება ნიშნავს — იზრუნო სოფლის კეთილდღეობისათვის, დაეხმარო სოფელს და მშობლებს, მოუწოდო მათ ცოდნის შეძენისაკენ, დააჯერო, რომ მათ შეისმინონ სოფლის აგრონომის რჩევა და სხვ.

კიდევ ბევრი რისამე აღნიშვნა შეიძლებოდა სოფლის პიონერთა საზაფხულო სამუშაოდ, მაგრამ ყველას ვერ ჩამოვთვლით. აუცილებელია, ზაფხულის განმავლობაში ისე მოვაგვაროთ საქმე, რომ პიონერებმა დროც მხიარულად გაატარონ და სოფელსა და ოჯახსაც სარგებლობა მოუტანონ.

შანი.

როგორ მოვაწუათ ერთი უსანოუზნავი დაემონსტრაცია

დილაა. 12 საათის დასაწყისია. სერპუხოვის მოედანი და მის ახლოს მდებარე ქუჩები მოძრაობაშია. გრილით მისრიალებენ ტრამვაის რონოდები, მიჰქრიან ავტომობილები, ფილაქანზე აუარებელი ხალხი მიდი-მოდის, ხმაურობაა.

ამ საერთო ხმაურებაში შორიდან მოისმის დოლის ხმა, რომელიც თანდათან ახლოვდება. აგერ შესახვევიდან გამოჩნდნენ მწყობრად მომავალი პიონერები დროშებით, რალაცა პლაკატებით, ლოზუნგებით. მათ მოსდევენ პირველი საფეხურის მოწაფეები. ბევრ მათგანს მოაქვს კიბეები, თოკი, ჩაქუჩები, პატარა ყუთები და პლაკატები შემდეგი წარწერით: „ფრინველები სპობენ მანენ მწერებს“, „ფრინველებს ბევრი მტერი ჰყავთ, იყავით მათი მეგობრები!“, „დაიფარეთ ფრინველები მტრისაგან!“

გამვლელ-გამომვლელები გაკვირვებული შესცქერავენ. ყველანაირი დემონსტრაცია უნახავს მოსკოვს, მაგრამ ასეთი პირველია.

— ეი, თქვენ, ყმაწვილებო, საით მიემგზავრებით? — ეკითხება ხანში შესული მუშა მიმავალ ბავშვს.

— ფრინველების ბინის კრიზისის მოსაგვარებლად, — მხიარულად უპასუხებენ ბავშვები.

უნდა მოვაგვაროთ ფრინველების ბინის კრიზისი

ამ დემონსტრაციის ჩატარების შემდეგ შეიკრიბა პედაგოგიურ მუზეუმში სხვადასხვა სკოლის 50 მოწაფე და დიდი ხმაურობით შემოუსხდნენ მაგიდას.

— წყნარად, ბავშვებო, წყნარად, — ეუბნებოდა მუზეუმის თანამშრომელი, რომელსაც თავს ედო ამ კამპანიის ხელმძღვანელობა.

დღეს ჩვენ თავი მოვიყარეთ, რომ მოვისმინოთ მოხსენება, თუ რამდენად სასარგებლო არიან ჩვენი ბოსტნებისთვის ფრინველები, ამის შემდეგ კი ვისაუბრებთ, თუ

რამდენად შეგვიძლია დავეხმაროთ ჩვენს ფრთოსან მეგობრებს.

მრავალი თვალი შესცქეროდა მომხსენებელს, რომელიც ნელ-ნელა ხსნიდა დახვეულ პლაკატს.

— აი, ბავშვებო, დაიწყო მომხსენებელმა, თქვენ შორის არ იქნებიან ისეთები, რომლებსაც არ ენახოს რომელიმე ფრინველი. მე სახეში მაქვს არა მარტო ის ფრინველები, რომლებსაც თქვენ ყოველდღი ხელებით, არამედ ისინიც, რომლებსაც თქვენ წიგნებიდან იცნობთ ან გაგიგონიათ. აბა ახლა მითხარით, აძლევს რაიმე სარგებლობას ფრინველი ადამიანს თუ არა?

— როგორ არა, როგორ არა!

— ფრინველები სასარგებლო არიან ჩვენთვის, მანენ მწერებს გვაშორებენ.

— მართალია, განაგრძო მომხსენებელმა. — აბა დააცქერდით ამ პლაკატს: აქ დახატულია პატარა ჩიტი, რომელიც თქვენ ალბათ გენახვებათ ზაფხულში. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ, როდესაც ამ ჩიტს ბარტყები ჰყავს, ბარტყებს ყოველ სამ წუთში ან დედა ან მამა უზიდავს საჭმელ მწერებს. აბა ვიანგარიშოთ, რამდენი მწერი ძოუნდებათ მათ იმ დღემდე, სანამ წამოიზრდებიან და თავის კეებას შესძლებენ. ერთ საათში დედ-მამა თავის ბარტყებს მოუტანს დაახლოებით 20 მწერს, ზაფხულის დღე კი საშუალოდ უდრის 18 საათს. ამგვარად 20 მწერი \times 18 = 360 მწერს. გამოკვების დრო კი ორი კვირა გრძელდება. რამდენ ჭია-ლუას მოუტანს ორი ჩიტი თავის შვილებს? გამოითვალეს ბავშვებმა და გამოვიდა, რომ ორი ჩიტი ორ კვირაში მოუტანს თავის შვილებს 5040 მწერს.

— აბა, ახლა თქვენ დაფიქრდით, თვითელი მათგანი რა მავნებელია ჩვენთვის და მაშინ ნათელი იქნება თქვენთვის, თუ რა სიკეთე მოაქვთ ჩვენს ფრთოსანებს. სასარგე-

ბლო არიან არა მარტო ის ფრთოსნები, რომელნიც მწერებით იკვებებიან; არიან ისეთი ფრინველებიც, რომლებიც სპობენ მინდვრის თავებს და სხვა მავნებელ ცხოველებს ჩვენი გლეხკაცის მინდვრებში. მაგალითად, ჩვენს გარშემო ცხოვრობენ მტაცებელი ფრინველები, მაგ., ჭოტი და სხვა, მაგრამ უბედურობაც იმაშია, რომ მოსახლეობამ არ იცის, თუ რა სარგებლობა მოაქვთ ფრინველებს ბაღებისა და მინდვრებისათვის. ბავშვები გასართობად შლიან ბუდეებს, ესვრიან ქვებს, კვერცხებს ამტვრევენ.



1. ხეებზე ფრინველების სახლებს ამაგრებენ.

— ბევრი ფრინველი დაიწყებს ცხოვრებას ბაღში და მავნებელი მწერები სრულიად გასწყდებიან. ჩვენ უნდა დავაზრდოთ ხალხს, რომ ისინი არაჩვეულებრივად ამწვანდებან, რაც ჭკნულს სწავლის ღრისთვის ფრიად საჭიროა (აბა, გაიხსენეთ, ბავშვებო, რისთვის ჩატარდა ტყის დაცვის დღე).

გადაწყვიტეს, ჩაატარონ დიდი კამპანია ფრინველთა დაცვის და მათი სახლების გაშენებისა, ამასთანავე, რაც შეიძლება მეტი ბავშვები შემოიერთონ ამ საქმეში.

გადაწყვიტეს, უფრო ფართოდ დაიჭირონ კავშირი ყველა სკოლებთან მასალის მისაღებად, მოაწყონ სახელოსნოები სკოლებთან, სადაც გააკეთებენ ბავშვები ფრთოსანთა სახლებს. ნესკუჩნის ბაღში შეიკრიბებიან ხოლმე ყოველ კვირა დღეს.

ფრთოსანთა მეგობრები დაიშალენ იმ გადაწყვეტილებით, რომ მეორე დღესვე დაეწყოს აგიტაცია მოსწყაღეთა და პიონერთა შორის.

საერთო ძალით

ფრთოსანთა დამხმარე ბავშვების რიცხვი დიდი სისწრაფით იზრდებოდა. პედაგოგიური მუშეუმის „ცოცხალი კუთხე“ კვირაში ორჯერ იღებდა ბავშვთა ექსკურსიას და აცნობდა მათ ცოცხალ ფრინველებს, რომელიც ჰყავდა ცოცხალ კუთხეს; მუშეუმის თანამშრომელი ებასებოდა მათ, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ფრინველთა საცხოვრებელი. ფრთოსანთა მეგობრების რიცხვი თანდათან იზრდებოდა, მათ სხვადასხვა სკოლის ბავშვები უერთდებოდნენ. მეორე ორგანიზა-

ციულ ცენტრად ითვლებოდა კლუბი „ბავშვთა კუთხე“. ამ კლუბის წევრებმა: საბუნებისმეტყველო ჯგუფმა, სადურგლომ და პიონერთა რაზმმა, დაიწყეს კლუბის სახელოსნოში ფრინველთა სახლებს დამზადება.

კლუბის წევრებისათვის იყო მოწყობილი მთელი რიგი მოხსენებებისა ფრინველთა დაცვის შესახებ. იყო ჩატარებული ორი ექსკურსია (ერთი სხვა სკოლის ბავშვებთან) და გამართული იყო სპეციალური გამოფენა. შუა მარტში ზამოსკოვოვსკის უბანში 10 სკოლამ უკვე დაიწყეს ფრთოსანთა სახლების დამზადება. ბევრი დაბრკოლება გამოიარეს, რადგან ყველა სკოლასთან არ არსებობდა სახელოსნო და ხშირად უხდებოდათ შინ დამზადება. იმისთვის, რომ ამ კამპანიაში ჩაებათ პიონერების უმრავლესობა, იყო წაკითხული მთელი რიგი მოხსენებები მოსკოვის მოზარდთა ბიუროში; ყველგან იყო გამოტანილი რეზოლუციები ფრინველთა დაცვის შესახებ.

18 მარტს ერთმა ჯგუფმა ნესკუჩნი ბაღში მიაშენა ფრინველების საცხოვრებელი 12 პატარა სახლი. ამ საცდელმა მუშაობამ ბევრი გამოცდილება მისცა ბავშვებს. 4 აპრილს ყველა ბავშვებს უნდა მიემთავრებიათ ფრინველთა სახლები ქალაქის ბაღში და ამ დღისთვის ბავშვები ემზადებოდნენ დემონსტრაციისთვის და თან იარაღს აგროვებდნენ: კანაფს, ჩაქუჩებს, ლურსმნებს და სხვა საჭირო იარაღს! წინდაწინვე დაათვალიერეს სახლების ალაგები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფრინველები ქალაქებში ძლიერ გაჭირვებული არიან, რადგან ქალაქის ბაღებში სპობენ ყოველ ბუჩქს და ბებერ ფუტუროიან ხეებს, სადაც ფრინველები იკეთებენ ბუდეს.

გათავა თუ არა მომხსენებელმა, მოიტანა და ბავშვებს აჩვენა სხვადასხვა სახლები ფრინველებისთვის, რომელიც გაეკეთებინათ ბიოსადგურში ამ სახლებს ჰკიდებენ ბაღებში ხეებზე, სახლებზე; ფრინველები სიამოვნებით ბუდობენ და ჰჩეკავენ ბარტყებს. ბავშვებში ამ პაწია სახლებმა დიდი ინტერესი გამოიწვია, სახლები ხელიდან ხელში გადადიოდა.

— ამისთანა სახლის გაკეთება ადვილია, ჩვენც გავაკეთებთ, — იძახდნენ აღფრთოვანებული ბავშვები.

ფრინველთა ქალაქი

- ჩვენი სკოლის ეზოში დავკიდებთ.
- მე კი ჩემი სახლის წინ, — ისმოდა ხმები.
- იცით, ბავშვებო, მოდით დავკიდოთ ერთ ალაგას და მოვაწყობთ ფრინველების ქალაქი, — სთქვა ხელმძღვანელმა.

ბავშვებს ეს მოსაზრება ძალიან მოეწონათ და გადაწყვიტეს ქალაქის ბაღში, რომელიც ერთ საუკეთესო სასაქონლო ბაღად ითვლებოდა, ფრინველთა ქალაქი გაეკეთებიათ.

ოთახები მზად არის და ურიგდება ფრინველებს

ოთხ აპრილს ბავშვების რიგები ფრინველების აუზ-რებელი სახლებით ნესკუნი ბალს უახლოვდებოდა. ბავშვები მუხლამდის ტალახში მიტოპავდნენ იმ ალაგამდის, საიდანაც უნდა წასულიყვნენ თავიანთ დანიშნულ რაიონებში სახლების დასაკიდებლად. ნესკუნი ბალი ახმაურდა ათასი ხმებით, წითელი პლაკატებით. წკრილა ხმები აქ მოულოდნელი იყო; ირგვლივ თოვლია და ხეები ისევ ტიტვლები სდგანან.

ყოველი ჯგუფი თავისი ხელმძღვანელით მიდის თავის რაიონში და ჩაღდება მუშაობა. ერთი ჯგუფი დადიოდა და სახლების მისამარებელ ხეებს არჩევდა, ზოგი ხეზე მიძვრებოდა, ზოგი ჩაქუჩს აწვდიდა; დიდით პატარამდე აკრავდნენ ფრინველების სახლებს. სამი საათის შემდეგ ფრინველთა ქალაქი მზად იყო; ასობით პატარა სახლები ელოდა თავის ფრთოსან მდგმურებს.

საანგარიშო კომისია

ერთი კვირის შემდეგ, თორმეტ აპრილს, ბავშვთა კუთხე გატენილია ბავშვებით, სადაც საანგარიშო კომისიამ უნდა გააკეთოს მოხსენება, თუ როგორ ჩაატარა

მოსკოვის გარე უბანში „ფრინველთა კამპანია“ შენობა-ნაგებობის მორთულია პლაკატებით, ლოზუნგებით და ფრთოსანთა სახლის ნიმუშებით. ყველა ასეთი ლოზუნგებით არის გატენილი კლუბი, რომელსაც ჰყავს კამპანიის მშენებელი მონაწილე.

პრეზიდენტის მაგიდასთან პიონერი ქალი სდგას. „ორგანიზაციული კომისიის მონდობილობით კრებას გახსნილად ვაცხადებ“ — ამბობს ის. ფეხზე დგომით მღერაინ „ახალგაზრდა გვარდიას“. პირველი მოხსენება არის პ. ვ. ესესვიატსკოვისა: „რა მნიშვნელობა აქვს ფრინველებს სახალხო მეურნეობისათვის“. შემდეგ მოხსენებას აკეთებს ბონდარენკო, თუ როგორ ჩაატარა მის რაიონში ეს კამპანია.

ბონდარენკო აღნიშნავს, რომ ორიათასზე მეტი ბავში იღებდა მონაწილეობას ამ საქმეში, მოწყობილ იქნა გამოფენა, ფრინველთა დაცვის კუთხეები, მოაწყვეს ფრინველთა ქალაქი, ნესკუნი ბალში დაჰკიდეს ფრინველთა ასი სხვადასხვა ტიპის სახლი, გაკრულია ლოზუნგები ფრინველთა დაცვის შესახებ. რამდენიმე სხვა სკოლის ბავშვებიც აპირებენ, რომ თავის ნაკვეთ მიწებზეც მოაწყონ ასეთივე სახლები ფრინველებისათვის.

გაჯიტიის ფურცელი

(დასასრული).

III. ქალაქის ჯამბაზების ცეკვა. თმები ყალყზე.

ჩემმა ძმამ სიტყვა დასრულა. მეორე დღეს, დაბინდდა თუ არა, შეუდგა ცდებს.

უპირველესად „მიაკრა“ ღუმელს გაზეთი. შემდეგ უფრო მტკიცე ქალაქისაგან გამოკრა სასაცილო ფიგურები: კაცები სხვადასხვა პოზაში.


— ჩვენი ჯამბაზები ახლავე ცეკვას დაიწყებენ. მომიტანე ქინძისთავეები, თვითთულ ჯამბაზს ფეხებში ქინძისთავი გაუწყარეთ.

— ეს იმისათვის, რომ არ დაიფანტონ, გაზეთმა არ გაიყოლოს, — ამიხსნა ძმამ და ჯამბაზები რიგზე დაალაგა. — აბა, წარმოდგენა იწყება!

ძმამ მოაშორა ღუმელის კედელს გაზეთი, ჰორიზონტალურად ორ ხელს შუა დაიჭირა და ზევიდან მიუახლოვა ჯამბაზებს.

— ადქით! — უბრძანა ძმამ ჯამბაზებს. წარმოიდგინეთ, ჯამბაზები მართლა ადგენ. ადგენ და ასე იყვნენ, სანამ ძმამ გაზეთი არ მოაშორა; მაშინ კი ისევ დაწვენ.

ჩემი ძმა მაინც არ ასვენებდა მათ: გაზეთს უახლოვებდა და აშორებდა, და ისინიც ხან დგებოდნენ და ხან წვებოდნენ.



— ჯამბაზები ქინძისთავეების საშუალებით რომ არ დაემძიმებინა, გაზეთს აახტებოდნენ და მიეკროდნენ. ეს ელექტრობის მიმზიდველობის შედეგია. ახლა კი მეორე ცდა გვაკეთოთ, რომელიც ელექტრობის განზიდველობის შედეგია.

— განა ელექტრობას განზიდვა შეუძლია?

— დიახ, შეუძლია. საგნები, რომელნიც ერთნაირად არიან დაელექტრობული, განიზიდებიან. მაკრატელი რა უყავ?

მე მივეცი ძმის მაკრატელი. მან „მიაკრა“ ღუმელის კედელს გაზეთი და გძელი ვიწრო ზოლების აკრა დაუწყო

ქვევიდან ზევით, მხოლოდ ბოლომდის არ ჭრიდა. მეექვსე თუ მეშვიდე ზოლი კი ბოლომდის აკრა. ასე მიიღო ქალაქის „წვერები“, რომელნიც, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, არ მოშორდნენ ღუმელის კედელს. ძმამ ზედა ნაწილს ხელი დაადო და ზოლებს ჯაგრა რამდენიმეჯერ მაგრა გაუსვა, შემდეგ კედელს მოაშორა და გამვერილ ხელში დაიჭირა. ვერტიკალური მიმართულების მაგიერ „წვერებმა“ ზარის ფორმა მიიღეს.

— ეს იმიტომ მოხდა, ამიხსნა ძმამ, რომ ზოლები ერთგვარი ელექტრობით არიან დატენილი.



საგნები, რომელნიც სულ არ არიან დაელექტრობული, მიიზიდავენ ზოლებს. ნიკომ შეჰყო ქვევიდან ხელი ზოლებში და ზოლები ხელს მიეკვრენ. მეც ჩავჯექი და შევყავი ხელი ზოლებში, მაგრამ უფრო სწორე იქნება თუ ვიტყვი, რომ მინდოდა

შემეყო ხელი, მაგრამ ვერ შევძელი, რადგან ქალაქის ზოლები გველებივით შემოეხვია ჩემ ხელს.

— არ გეშინია ამ გველებს? — შემიკითხა ძმა.

— რათ უნდა მეშინოდეს, რომ ქალაქისა არიან!

— მეკი მეშინია. აი შემომხედე!

— რა დავინახე! ძმას ფურცელი ორი ხელით თავისი თავის ზევით ეჭირა და მისი გრძელი თმები ყალუხე იდგა.

— ესეც ცდა არის? მითხარი მართალი, ესეც ცდა არის? — გაკვირვებული ვეკითხებოდი მე.

— ისევე ის ცდა არის, რომელსაც ვაკეთებდით, მხოლოდ ცოტა სხვაგვარი. გაზეთმა დატენა ელექტრობით ჩემი თმები, გაზეთმა თმები მიიზიდა. ამავე დროს ივინი, როგორც ქალაქის „წვერები“, ერთი-ერთმანეთისაგან განიზიდებინა. აიღე სარკე და შენს თმებზე დაგანახებ ამ ცდას.

— ხომ არ მეტყინება?

— რასაკვირველია, არა.

მართლაც, არათუ ტკივილი, ღიტიცი კი არ მიგრძენია, სარკეში კი გარკვევით ვხედავდი, რომ გაზეთის ფურცლის ქვეშ ჩემი თმები ყალუხე იდგა.

ჩვენ გავიმეორეთ წინააღმდეგ ვაკეთებული ცდები და ამით დამთავრდა „სენანი“ — ასე უწოდებდა ჩემი ძმა ჩვენს მუშაობას. ხვალისათვის მთელი რიგი ახალი ცდების ჩვენებას დამპირდა.

IV. პატარა ელვა. ცდები პატარა ნათურის საშუალებით. წყლის დენა. ძლიერი შებერვა.

მეორე დღეს რალაც საკვირველი წინასწარი დამზადება ჩაატარა ჩემმა ძმამ: აიღო სამი ჩაის ჭიქა, გაათბო ლუმენთან, დადგა მაგიდაზე და ზევიდან სამოვრის გამთბარი სინი დააფარა.

— რა იქნება? — მოუთმენლად ვეკითხებოდი მე. — ხომ არ შეგეშალა? ჭიქები უნდა დალაგდეს სინზე და არა სინი ჭიქებზე.

— ნუ სწუხარ. ახლავე პატარა ელვას მივიღებთ.

ძმამ „ელექტრონის მანქანა“ აამუშავა, ე. ი. მიაღო გაზეთი ლუმენის ცხელ კედელს და დაუწყა ჯაგრით ხახუნი. შემდეგ გაზეთი ორად დაკეცა და ისევ დაუწყა ხახუნი, მერე მოაშორა გაზეთი კედელს და სინზე დადო.

— ხელი მოჰკიდე სინს, ძალიან ცივი ხომ არ არის?

ფიქრადაც არ მომსვლია, რომ აქ შეიძლება რამე ეშმაკობა ყოფილიყო; მოვიკიდე სინს ხელი, მაგრამ მაშინვე სწრაფად შოვაშორე: რალაცამ გაიტკლაცუნა და ჩხვლეტა ვიგრძენი თითებში.

— როგორ მოგეწონა? ეს შენ მეხი დაგეცა. ხმაც ხომ გაიგონე? ეს პატარა ქუხილი იყო.

— მართალია, მე ჩხვლეტა ვიგრძენი, მაგრამ ელვა არ დამინახავს.

— დინახავ, როდესაც ცდას ბნელაში გავიმეორებთ.

— მე აღარ მსურს სინს მივეკარო, გადაწყვეტით გამოვაცხადე მე.


— არც არის საჭირო. ნაპერწკალი გასაღების ან ჩაის კოვზის საშუალებითაც შეგიძლია მიიღო. ამ შემთხვევაში შენ არაფერს იგრძნობ, ნაპერწკლის სიგრძე კი ამით არ შეიცვლება.

სანამ შენი თვალები მიეჩვევა სიბნელეს, მე გავაყრვენივ ნაპერწკლებს. ძმამ ჩააქრო სინათლე.

— ახლა სიჩუმე და დიდი ყურადღება, — გაისმა მისი ხმა სიბნელეში.

რალაც ხმაურობა გაისმა და ამასთანავე სინსა და გასაღებს შუა გახტა წუმწუმის ნახევრის სიგრძე მოლურჯო-თეთრი კაშკაშა ნაპერწკალი.

— ნახე ელვა? გაიგონე ქუხილი? — შემეკითხა ძმა.




ერთსადამიშვე დროს რომ იყო? ნამდვილი ქუხილი ხომ ყოველთვის ელვის შემდეგ ისმის?

— მართალი ხარ. ჩვენ ყოველთვის ჯერ ელვას დავინახავთ და მერე ქუხილს გავიგონებთ, მაგრამ მაინც ელვა და ქუხილი ერთსადამიშვე დროს ხდება, როგორც ჩვენ ცდაში ნაპერწკალი და ხმაურობა.

— მაშ დავგვიანებით რატომ გვესმის ქუხილი?

— იმიტომ, რომ სინათლე და ხმა ერთდამიშვე სიჩქარით არ ვრცელდება. სინათლე განსაკუთრებული სისწრაფით ვრცელდება, იმ დროს, როდესაც ხმას ერთ ვერსზე გავრცე-

ლებისათვის სამი წუთი სჭირდება. მაშასადამე, თუ ელვა-ქუხილი ერთი ვერსის მანძილზეა შენგან, ელვას მაშინვე დინახავ, ქუხილს კი სამი წუთის შემდეგ ვაიგონებ, და, რასაკვირველია, გეჩვენება, რომ ქუხილი ელვის დინახვიდან სამი წუთის შემდეგ გაჩნდა. თუ ელვა-ქუხილი ორი ვერსის მანძილითაა დაშორებული შენ-



გან, ქუხილი ექვს წუთს დაიგვიანებს. გასაგებია?

— ჰო, გასაგებია.

— ახლა მითხარ: თუ ელვა დინახე და ქუხილი 9 წუთის შემდეგ ვაიგონე, რა მანძილზე ყოფილა ელვა-ქუხილის გაჩენის ადგილი?

— სამი ვერსი.

— მართალი ხარ. მაშასადამე, თუ ჩანიშნე დრო, რომელიც, გაივლის ელვასა და ქუხილს შორის, ადვილად გამოითვლი, რა მანძილზე ყოფილა ელვა-ქუხილი თვითეულ წუთს ვერსის მესამედი შეესაბამება.

— მე რომ საათი არა მაქვს, როგორ ვთვალაო წუთები?

— არც არის საათი საჭირო: სანამ ჯიბიდან საათს ამოიღებ, ბევრი დრო გავა. საჭიროა იცოდე წუთების თვლა უსაათოდ.

— როგორ თუ უსაათოდ?..

— ძალიან ადვილია. მიეჩვიე ასე თვლას: ერთი და ორი, და სამი და ოთხი და....

თვითეული რიცხვის გამოთქმას სწორედ ერთი წუთი უნდა სჭირდებოდეს. ამის მიხვევა ძლიერ ადვილია.

— არ მესმის კიდევ ერთი რამ: რატომ არის ელვა ასე ხანმოკლე, ქუხილი კი ხანგრძლივი?


— ეს იმიტომ, რომ ელვა ნაპერწკალივით ნახევარი გოჯის სიგრძე კა არ არის, არამედ, იცი, რა სიგრძისაა?

— მთელი საყენი?

— საყენი კი არა ვერსი, რამოდენიმე ვერსი.

— მერე რა, ელვა რომ ასე გრძელდება? მე ელვას კი არ გეკითხები, ქუხილის ხანგრძლივობას.

— მოთმინება იქონიე. წარმოიდგინე, რომ ელვა ერთი ვერსის სიგრძეა. წარმოიდგინე, რომ მისი ერთი ბოლოდან ხმა ერთი წუთის შემდეგ მოვიდა შენამდის. თუ მისი მეორე ბოლო ერთი ვერსის მანძილზეა, ხმა ხომ სამი წუთის შემდეგ მოახწევს შენთან.



— ა—ა—ა! მივხვდი. მაშ სამი წუთის განმავლობაში სულ ქუხილი იქნება.

— სწორედ ასეა. ამასთანავე მიიღე მხედველობაში ღრუბლების უპუ და მაშინ მიხვდები, რატომ განიჩევა ასე ძალიან ქუხილი იმ ხმაურობისაგან, რომელიც ჩვენ მივიღეთ.

ჩემი თვალი უკვე მიეჩევა სიბნელეს.

ძმამ გადმომცა გასაღები, მოაშორა გაზეთი და წინადადება მომცა, სინიდან ელვა მიმელო.

— გაზეთი რომ მოაშორე, ნაპერწკალს რაღა გააჩენს?

— სინჯე!

მიუთახლოვე თუ არ სინს გასაღები, კაშკაშმა ნაპერწკალმა გასქრა სიბნელე.

ძმამ მეორედ დადო სინზე გაზეთი, და მეც მეორედ მივიღე ნაპერწკალი, მხოლოდ უფრო-სუსტი.

რამდენჯერმე დავადეთ გაზეთი სინს და შედეგად ყოველთვის ნაპერწკალს ვიღებდით, მხოლოდ უფრო და უფრო სუსტს.

— ნაპერწკლებს უფრო მეტს მივიღებთ, თუ გაზეთს ხელს კი არ მოვიკიდებთ, არამედ იგი აბრეშუმის ძაფებზე იქნება ჩამოკიდებული. როდესაც გაიზრდება და ფიზიკის სწავლას

დაიწყებ, გაიგებ ჩვენი ცდების შინაარსს, ჯერჯერობით კი თავით კი არა, მხოლოდ თვალებით მოვიხდება ცქერა.

— ეს ცდა ყველა ცდებზე საინტერესოა!

— გემოვნებაზედაა დამოკიდებული, მე კი ყველა ცდებზე მეტად ის მომწონს, აი ახლა რომ გაჩვენებ. აი იმ მაგიდის ყუთში არის ელექტრონის ნათურა და მომიტანე.

— გაფუჭებულია. არ ინთება. ბეწვი აქვს გაფუჭებული.

— ვიცი, მაგრამ ჩვენთვის ასეთიც კარგია, თუ შუშა არ არის გატეხილი, დანარჩენი არ შეგვიშლის ხელს. ჩვენი ცდისათვის მთავარი ის არის, რომ ჰაერი არ შედიოდეს შიგ. შენ, ალბათ, იცი, რომ ელექტრონის ნათურადან ჰაერი გამოქაჩულია, ე. ი. შიგ სიცარიელეა.

— ნუთუ შიგ ჰაერი სულ არ არის?

— რასაკვირველია. განა არ იცოდი?

— მაშ ნათურაში ბეწვი როგორ იწვის? უჰაეროდ ხომ წვა არ ხდება?

— მართალი ხარ. უჰაეროდ სხეულს წვა არ შეუძლია, მაგრამ გახურება კი შეუძლია.

ნათურაში ლითის ან ნახშირის ბეწვია, რომელიც კი არ იწვის, არამედ ხურდება. სწორედ იმისათვის არის ჰაერი გამოქაჩული, რომ წვა არ ხდებოდეს, ბეწვი კი ხურდებოდეს.

— ბეწვი რომ იწვოდეს, რა მოხდება?

— ერთი წუთის განმავლობაში გადიწვებოდა და ნათურა სამუდამოდ ჩაქრებოდა.

გასაგებია ახლა, რატომ არის საჭირო, რომ ნათურაში სულ არ იყოს ჰაერი? მე გავაკეთებ ერთ ცდას, რომელიც დაგარწმუნებს, რომ ნათურაში მართლა არ არის ჰაერი, ახლა კი ჯერჯერობით ჩვენი ცდა განვაგრძობ.

ჯერ კიდევ სიბნელეში ძმამ ნახევრად ჩამოაცალა ღუმელის კედელს გაზეთი და მიადო მას ელექტრონის ნათურა ქვედა ნაწილით. გაისმა პატარა ხმაურობა, გამოხტა ნაპერწკალი და ერთი წუთით ნათურა მომწვანო სინათლით აივსო.

— აი, ეს არის ჩემი საყვარელი ცდა, მითხრა ძმამ და თან დაელექტრობული გაზეთის სხვადასხვა ადგილებს აყრევინებდა ნაპერწკლებს. ამა-

ვე ცდის განმეორება შეიძლება, სინიდან მიღებული ნაპერწკლის საშუალებითაც; განათება უფრო მეტი იქნება.


მართლაც, დადო თუ არა ძმამ გაზეთი სინზე და ახლოს მიიტანა ნათურა, ეს უკანასკნელი მაშინვე აინთო, მხოლოდ როდესაც სინს გაზეთს არ აფარებდა და ისე იღებდა ნაპერწკალს, ნათურაში მწვანე სინათლე არ ჩნდებოდა.

— რომ წამოიზრდები, შენთვისაც გასაგები გახდება ეს საინტერესო მოვლენები. ახლა კი მხოლოდ თვალყური ადევნე. მე ნახშირის ნათურაც მაქვს. საინტერესოა, ამისთანა ნათურაშიაც შევეშვათ ასეთივე ნაპერწკალი და ენახოთ, რა გამოვა.

ძმამ მიიტანა სინთან ნახშირის ნათურას ცოკოლი. ერთი წუთით ნათურაში მწვანე სინათლემ გაიელვა და ამავე დროს მოისმა მსუბუქი წკრიალი, შუშის ნაზი პატარა ზარის ხმის მსგავსი.

— ეს რა ზარის ხმაა?— შევეკითხე მე.

— გაიგონე? ნაპერწკლისაგან ნახშირის დრეკილი ბეწვი ინძრევა და ხვდება ნათურას კედლებს. ახლაც გაჩვენებ, როგორ ინძრევა ბეწვი, — სთქვა ძმამ და ნახშირის ნათურა გაუკეთა, აანთო ელექტრონი და



მიიტანა ნათურასთან დაელექტრობული გაზეთი. მიუთახლოვა თუ არა ნათურას გაზეთი, ნათურაში ბეწვი ათრთოლდა. ძმა უახლოვებდა და აშორებდა ნათურას გაზეთს და ამით იწვევდა ბეწვის განუწყვეტელ მოძრაობას.

— ამისთანა ცდის გაკეთება ეკონომიური ელნათურით არ შეიძლება, ვინაიდან შიგ ძაფები დაჭიმულია. ახლა კიდევ ერთი ცდა წყლის კამარის საშუალებით. ეს ცდა წყალსადენის ონკანთან გავაკეთოთ. გაზეთი ჯერჯერობით ღუმელის კედელზე დარჩეს.

ონკანი მოვუშვი და წამოვიდა წმინდა კამარა, რომელიც ნიჟარაში ჩადიოდა.

— მე წყალს არ წავეკარები, მაგრამ ვაიძულებ იქით იდინოს, საითაც გასურს. საით გვებავს: წინ, მარცხნივ თუ მარჯვნივ?

— მარცხნივ, — წამოვიძახე მე.

— კეთილი. არ მოჰქიდო ხელი ონკანს. მე ახლავე გაზეთს მოვიტან.

რამდენიმე წუთის შემდეგ ძმა დაბრუნდა. ხელები წინ ჰქონდა გაშვებული და გაზეთი ისე მოჰქონდა. ეს იმისათვის, რომ გაზეთი ტანსაცმელს არ მოხვედროდა და ელექტრობა არ დაეკარგა. მარცხენა მხარიდან წყალს მიუახლოვა გაზეთი და წყლის კამარა მაშინვე მარცხნივ გადინა; ძმამ გაზეთი მეორე მხარეს გადიტანა და ამით აიძულა წყალი მარჯვნივ გადახრილიყო. ახლა წინიდან მიუახლოვა წყალს გაზეთი და მან ისეთი სიძლიერით მიიზიდა წყალი, რომ უკანასკნელი ნიჟარიდან გადმოვიდა.

— ხომ ხედავ, რა ძლიერია ამ შემთხვევაში ელექტრობის მიმზიდველობა?

სხვათა შორის, ეს ცდა ისეც შეიძლება გაკეთდეს, რომ ლუმენის კედელი არ დასჭირდეს. ეს იმ შემთხვევაში, თუ გაზეთის მაგიერ კაუჩუკის სავარცხელს ვიხმართ, აი ამისთანას. ძმამ უბიდან ამოიღო სავარცხელი და რამდენჯერმე გადივარცხნათვისი ხშირი თმა. — ასე მე დავაელექტრობებ მას.

— შენი თმა ხომ ელექტრობიანი არ არის?

— რასაკვირველია, არა, მეც ისეთი თმები მაქვს, როგორც შენ და საზოგადოდ ყველას, მაგრამ როდესაც კაუჩუკი თმას ეხახუნება, მასში ჩნდება ელექტრობა ისე, როგორც გაზეთში, როდესაც მას ჯაგრას ვუსვამთ. შეხედე!

ძმამ წყალთან მიიტანა სავარცხელი, და წყალი თვალსაჩინოდ გადინა სავარცხელისაკენ.

— ჩვენი დანარჩენი ცდებისათვის სავარცხელი არ გამოდგება, ვინაიდან ელექტრონის ძალიან მცირე რაოდენობას შეიცავს, ბევრად ნაკლებს, ვიდრე ის მანქანა, რომელიც — შენ ამაში უკვე დარწმუნდი — ასე ადვილად შეიძლება გაკეთდეს უბრალო გაზეთის ფურცლისგან.

— შენ დამპირდი ელექტრონის ნათურას საშუალებით ერთი განსაკუთრებული ცდა გეჩვენებინა, — გავახსენე მე.

— იმ ცდის გაკეთება სწორედ აქ არის ადვილი, ვინაიდან მისთვის წყალი არის საჭირო. ჩვენ წყალში ჩავუშვებთ ელექტრონის ნათურას, წყლის ქვეშ მოვტყეობთ წვერს, წყალი ნათურაში შევა და თითქმის აავსებს მას.

— თვითონ აავსებს?

— დიახ. გარეჰაერის წნევის საშუალებით წყალი ცარიელ სივრცეში შევა. მომიტანე ტაშტი.


ძმამ ჩაასხა ტაშტში წყალი, ტილოს ნაჭერში შეახვია გაუფუჭებული ნათურა და ჩაძირა წყალში.

— ნათურა იმიტომ შევავსე ტილოში, რომ შესაძლებელია აფეთქება მოხდეს და მაშინ შესაძლებელია, აფეთქების ძალამ ნათურა დაამტვრიოს და მისი ნაწილები გაფანტოს საკმარისი სიძლიერით.

— აფეთქება? — შევშინდი მე. — იფეთქებს, განა?

— შესაძლებელია, თუ შემთხვევით ნათურას წვერი ისე მოვტყეობ, რომ დიდი ჭუჭყრუტანა დამირჩა: ამ შემთხვევაში წყალი ისეთი სიჩქარით შევარდება შიგ, რომ შესაძლებელია შუშამ ვერ გაუძლოს, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ კარგად მოვტყეობ წვერს.

ძმამ ფრთხილად დაარტყა ნათურას წვერს ჩაქუჩი. გაისმა მსუბუქი შიშინი.



— გესმის, წყალი შედის ნათურაში? შრიალის ხმა ნახევარ წუთს გაგრძელდა და შეჩერდა.

— მზად არის, — სთქვა ძმამ და ნათურა ტილოსაგან გაათავისუფლა. ინებე.

მე ფრთხილად გამოვართვი ნათურა. იგი მძიმე იყო და საესე წყლით, მხოლოდ ზევითა ნაწილში-ლა დარჩენილიყო ჰაერის პაწაწა ბუშტი.


— სად არის ჭუჭყრუტანა?

— იმ ალაგას, სადაც ნათურას წვერი იყო.

მართლაც, აქ იყო პატარა ჭუჭყრუტანა, მაგრამ რატომ არ იღვრებოდა

წყალი, როდესაც ნათურა ასე მტკიცეა, რომ ჭუჭყრუტანა მიღს იყო? — შევეკითხე ძმას ამის შესახებ.

— წყალი იმიტომ არ იღვრება, — მიპასუხა მან, — რომ ქვევიდან მას ჰაერი აწევება, შიგნიდან გარეთ კი მხოლოდ წყალი აწევება.



— ეს ბუშტი რომ არის შიგ, ის საიდან გაჩნდა?

ეს მთელი ის ჰაერია, რომელიც იყო ნათურაში. ჰაერის სავსებით გამოქაჩვა არ ხერხდება, შეიძლება მხოლოდ მისი გათხელება. ახლა მთელი ეს გათხელებული ჰაერი შეგროვიდა ამ პატარა ბუშტში. რამდენჯერაც ბუშტი ნათურაზე პატარაა, იმდენჯერ იყო გათხელებული ჰაერი, გათხელებული იყო, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ათასჯერ მაინც.

— მე ვერ ვამიგია ერთი რამ: რატომ არის საჭირო ჰაერის გამოქაჩვა? თუ უნდათ, რომ ბეწვი არ დაიწვას, ხომ შეიძლება ჰაერი შეიცვალოს იმისთანა გაზით, რომელიც წვას ხელს არ უწყობს? მაგალითად, მე წაკითხული მაქვს, რომ აზოტში წვა არ შეიძლება.

— სრული სიმართლეა. სწორედ ასე იქცევიან ზოგიერთი ნათურების მომზადების დროს, მაგრამ ჩვენ სრულიად დავგავიწყდა ჩვენი გაზეთი. კიდევ ერთი და უკანასკნელი ცდა მინდა გავაკეთო, მაგრამ ელექტრობაზე კი არა, არამედ ჰაერის წნევაზე.

ჩვენ დავბრუნდით ოთახში და ძმა შეუდგა გაზეთის ქალაქიდან გრძელი პარკის ჭრას და დაწებებას.

— მანამ ეს პარკი გაშრება, მოიტანე რამდენიმე სქელი და მძიმე წიგნი.

მე სამი დიდი წიგნი მოვიტანე და მაგიდაზე დავდე.

— შეგიძლია ეს პარკი პირით გაბერო? — შემეკითხა ძმა.

— რასაკვირველია, წამოვიძახე მე და ავასრულე კიდევ.

— ხომ ადვილი საქმე დაგაკისრე? მაგრამ თუ პარკზე ორიოდ ამისთანა წიგნს დავდებთ?..

— მაშინ, რასაკვირველია, რამდენიც უნდა ვეცადო, პარკს ვერ ვაგებერავ!

ძმამ უსიტყვოდ დასდო პარკი მაგიდის ნაპირას, ზედ ერთიწიგნი დაადო და ამ წიგნზე მეორე ააყუდა.

— ახლა თვალი ადევნე, მე ვაგებერავ.

— ხომ არ აპირებ შენი შეგებრვით წიგნების დაძვრას? — შევეკითხე მე სიცილით.

— სწორედ რომ ვაპირებ.

ძმამ დაუწყო პარკს ვაგებრვა. მერე რა გგონიათ? ქვედა წიგნი აყირავდა და ხევეითაც გადააბრუნა.

ეს წიგნები წონით 4 კილოგრამზე (10 გირვანქა) ნაკლები არ იყო.

გაკვირვებული შევცქეროდი ძმას, ის კი უკვე მეორე ცდის გაკეთებისთვის ემზადებოდა.

პარკი ახლა უკვე სამი წიგნის ქვეშ მოამწყვდია. შეუბერა — მართლაც დევ-გმირული შეგებრვა იყო — და სამივე წიგნი გადაბრუნდა.

ყველაზე მეტად იმან გამაკვირვა, რომ ამ განსაკუთრებულ ცდაში არაფერი საკვირველი არ აღმოჩნდა. როდესაც მე თვითონ ვაგებედე ამ ცდის გამეორება, დავრწმუნდი, რა ადვილი ყოფილა ამ საშუალებით წიგნების გადაბრუნება. არ დამჭირებია არც სპილოს ფილტვები, არც დევის კუნთები: ყველაფერი თავისთავად ხდებოდა და არავითარი განსაკუთრებული ძალღონე არ იყო საჭირო.



ძმამ მერე ამიხსნა ყველაფერი: როდესაც ქალაღის პარკს ვებერავთ, ჩვენ შიგ ჰაერს ვუშვებთ, რომელსაც ვკუმშავთ მეტად, ვიდრე გარე ჰაერია; ასე რომ არ იყოს, პარკი არ გაიბერებ-

ბოდა. გარე ჰაერის წნევა თვითნებულ კვადრატულ სანტიმეტრზე დაახლოებით 1.000 გრ. უდრის. ვითვლით, ქალაღის რამდენი კვადრატული სანტიმეტრი მოჰყვა წიგნებ ქვეშ, ადვილად გამოვიანგარიშებთ, რომ იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ზედმეტი წნევა მხოლოდ ერთ მეათედს შეადგენს, ე. ი. თვითნებულ კვადრატულ სანტიმეტრზე მხოლოდ 100 გრამს, მაშინ წიგნიდან ჰაერის საერთო წნევა პარკის იმ ნაწილზე, რომელიც წიგნებ ქვეშ არის, 5 10 კილოგრამს (12 25 გირვანქა) მიასწვეს. რასაკვირველია, ასეთი ძალა საცხებით საკმარისია წიგნების გადასაბრუნებლად.

ამით დავასრულეთ გახეთის ფურცლის საშუალებით მუშაობა ფიზიკაში.

თ. ბ.

მეცნიერება და ტენიკა



ლომახლო მდინარეთა კალმახებს, როგორც თვალების, ისე საერთო ფერით.

ცხადი იყო, რომ ეს კალმახები მეზობელი მდინარეებიდან არიან ჩასული ქაში.

საქარაში ნაპოვნი თევზებიც ჩვეულებრივ თევზებს ჰგვანან; უფრო მეტი: იმავე ჯიშისანი არიან, რომლისაც აფრიკის მდინარეთა ახლანდელი თევზები. რით აეხსნათ აფრიკის უდაბნოს შუაგულში თევზების არსებობა და ისიც მიწის ქვეშ?

ატლასის მთები, რომელიც აფრიკის ჩრდილო ნაპირებზეა გაჭიმული, ერთ დროს ევროპის მთებთან იყო შეერთებული და ხმელთაშუა ზღვამ ჩამოსჭრა.

ამ ატლასის მთების სამხრეთით გაჭიმული ვეება უდაბნო (საქარა), რომლის საერთო სივრცე დასავლეთ ევროპის სივრცეს აღემატება, წინად უდაბნოს არ წარმოადგენდა, მისი უმეტესი ნაწილი ზღვით იყო დაფარული და დანარჩენი ნაწილი კი მდინარეებით იყო დასერილი. ზღვის არსებობას საქარის უდაბნოში ატლასის მთების ძირში მრავლად დაგროვილი ზღვის მარილი ადასტურებს.

რაიც შეეხება მდინარეებს, ხალხში დარჩენილია ხსოვნა მათს შესახებ:

არაბეთის ლეგენდები და გადმოცემანი საცხა თქმულებებით, რომ საქარაში წინად ჰარბად იყო წყალი და მცენარენი და თითქოს მე-XIII საუკუნიდან გადაქცეულიყოს უდაბნოდ.


ყოფილ მდინარეთა კალაპოტები დღესაც დარჩენილია; ამნაირ ამომშრალ კალაპოტებს არაბულ ენაზე „უედები“ ეწოდება. ორი ამისთანა „უედი“ ქ. ტუგურტასთან — „მია“ და „ირგარარ“ — არაბთათვის ჰის გასათხრელ ადგილებს წარმოადგენდა ყოველთვის. როცა ეს ადგილები საფრანგეთმა დაიპყრო, სწორედ აქ სთხრიდენ არტეზიანულ ჰებს.

ერთი სიტყვით, აქ ნიადაგს ქვეშ წყალია. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ის წყალია, რომელიც წინად მიწის ზედაპირზე დიდოდა მდინარეთა სახით და შემდეგ მთლად გაიკონა სილაში.

ქვენიდაგის წყლებმა, ცხადია, ცოტა შესცვალეს თავისი მიმართულება: უნდა შემოევლოთ წინ დახვედრილი კლდეებისთვის, ამოვესოთ ჩავარდნილი ადგილები. ამგვარ პირობებში კი თევზები დიდ მანძილზე ვეღარ გადავიდოდენ. მაგრამ ამისდა მიუხედავად საქარის არტეზიანულ ჰებში თევზების იგივე ჯიშია ნაპოვნი, რაიც

ამ რამდენიმე თვის წინ ტენიკა იყო გაკეთებში, რომ ჩრდილო აფრიკის არტეზიანულ ჰებში იპოვეს თევზები, კიბრები და მისი მდინარეები. პირველად ამ ცნობას ყველამ ეჭვით შეხედა, მაგრამ მალე ეს ეჭვები გაიფანტა: აღმოჩნდა, რომ აფრიკის ჰებში თევზები ჯერ კიდევ მე-XIX საუკუნის სამოციაწ წლებში უპოვია ერთს გამოჩენილ ფრანგ მოგზაურს.

აღნიშნული მოვლენა მხოლოდ აფრიკაში არაა ცნობილი; კალიფორნიაში (ამერიკა), ს. ბუნავენტიურთან არტეზიანულ ჰებში, რომლებიც ზღვის ნაპირასაა ამოთხრილი მოქცევის ნიშნიდან 5 ფუტის სიმაღლეზე, უპოვიათ აგრეთვე თევზები 145 ფუტის სიღრმეზე, — მთელი გუნდი კალმახებისა, რომლებიც საცხებით ჩამოგავდენ ახ.



ნილოსსა და მდ. იორდანეში (პალესტინა). ცხადია, მათსადაც, რომ საქარის მდინარეთა სისტემა ახლო წარსულში შეერთებული ყოფილა ნილოსის და პალესტინის მდინარეთა აუზებთან.

მაგრამ თუ გამქრალ მდინარეთა ორგანიზული სიკოცხლე შემცირდა, მაშ ჭებში რათა ვხვდებით თევზებს ასე ხშირად, თუმც იგი წვრილია?

საქმე იმაშია, რომ წყალმა თან წაიღო წყალმცენარე და მოლიუსკები (თევზების საზრდო), მაგრამ სიკოცხლის და არსებობის ახალ პირობებში ეს საზრდო საკმაო არ აღმოჩნდა. ამიტომ, სხვათა შორის, რომ ჭის თევზებს უფრო ბაცი ფერი აქვთ, ვიდრე მიწის ზედაპირის მათ მონათესავე თევზებს და ჩონჩხიც სუსტად აქვთ განვითარებული.

მეორე მხრით, ცხოვრების პირობები, უეჭველია, უმჯობესდება იქ, სადაც ქვენიადგის წყლებს მზე და ჰაერი ახწვეს.

ამიტომ გასაგებია, თუ ძველ და ახლად გათხრილ ჭებში ორგანიზული სიკოცხლე რათაა გაძლიერებული, ე. ი. თევზი უფრო მსხვილია და მცენარეულობაც უფრო ტანადია. აქ თევზი ქვირილსაც ჰყრის და აქვე ჩნდებიან ლიფსიტები.

ზევით აღენიშნეთ, რომ ჭებში იპოვეს ისეთი თევზები, რომლისთანა მდ. ნილოსში და იორდანეშიც მოიპოვება.

გამორკვეულია, რომ აფრიკის ყველა მდინარეთა თევზები ძლიერ ჰგვანან ერთმანეთს.

ასე, მდ. ნილოსის 101 ჯიშის თევზის 45 ჯიშში მდ. ნიგერშია, სენეგალში და გამბიაში, და უფრო მეტიც—ჩადის ტბაში. ტბის თევზების ჯიშების ერთი მეოთხედი ნილოსშიც ცხოვრობს.

ჩადის ტბისა და მისი შენაკადების 66 ჯიშის თევზიდან ნილოსში 45-ია, სენეგალში 38, კონგოში 24 და ზამბეზში 7.

რუდოლფის ტბის და ნილოსის თევზების 80% ეროიდინიანე ჯიშისაა.

რაკი საქარის თევზების ჯიშის ჩადის ტბაშიცაა, ნილოსშიც და პალესტინაშიც, უნდა დავასკვნათ, რომ საქარის მდინარეთა სისტემა ახლო წარსულში დაკავშირებული ყოფილა პალესტინის მდინარეებთან. შემდეგ მომხდარა განცალკევება, გამოყოფა.

ამისი მიზეზები მიწის ბურთის ზედაპირის იმ ცვალებადობაში უნდა ვეძიოთ, რომელიც მიწის შინაგან ძალთა ზეგავლენით ხდებოდა.

ეს ცვალებადობა (ზედაპირის ჩაწევა, ან მდინარეთა გაფონვა სილაში) მომხდარა ნიანხას ტბის, ალბერტის ტბის და რუდოლფის ტბის ხაზით, რომელიც მიემართება მეწამული ზღვით გალილეის ტბისკენ. მთელს ამ ადგილს „დიდი ხეობა“ ეწოდება.

დ. კარბელი

გ ა ს ა რ თ ო ზ ე ბ ი

როგორ უნდა გამოიცნოთ სხვისი დაბადების დღე და თვე?

დაბადების თვის და დღის გამოცნობა შემდეგნაირად შეიძლება: სთხოვეთ ვისმე, თავისი დაბადების რიცხვი გაამრავლოს 2-ჯერ, შემდეგ მიუმატოს 5, ეს რიცხვი გაამრავლოს 50, ნაწარმოებს მოუმატოს თვის რიცხვი და მიღებული რიცხვი დაასახელოს. ამ ციფრს თქვენ გამოაკელით 250. ნაშთის პირველი ორი ციფრი აღნიშნავს დაბადების დღეს და უკანასკნელი — დაბადების თვეს.

მაგალითი: დაბადების დღეა, ვთქვათ, 29 სექტემბერი.

$29 + 29 = 58 + 5 = 63 \times 50 = 3150 + 9 = 3159 - 250 = 2909$, ანუ 29 დღე მე-9-თვისა, ე. ი. 29 სექტემბერი. გამოიცანით თქვენი ნაცნობების დაბადების დღე.

წინა ნომრებში მოთავსებული გასართობის ახსნა:

№ 4-ში — რ მ ბ უ ს ი:

კარგი დრო დადგა, ვენაცვა მუშის და გლეხის ძალასა, ინათსა ხელისუფლებას და თვით დროს ამისთანასა.

8	1	6
3	5	7
4	9	2

ჯადოსნური კვადრატი:


შუა კვადრატში ჩაწეროთ ციფრი 5, კუთხეებში კი ლუწი ციფრები, ისე, რომ ჯვარედინი ციფრები იძლეოდეს 10. ამის შემდეგ დანარჩენი უჯრედების შეერთება სიძნელეს აღარ წარმოადგენს.

№ 5-ში — შარადა:

თავისუფლება

ლიტერატურულ-გეომეტრიული ამოცანა:

შ	ვ	ე	ფ	ხ	ი	ს	ტ	ყ	ა	ო	ს	ა	ნ	ი
შ	ო	თ	ა	რ	უ	ი	ს	თ	ა	ვ	ე	ლ	ი	



გაგოვა 1926 წ. გაგოვა

უბელოთვიური საგმარნოლო დანსურათი
— უურნალები —

მორდოლოთ თვის წოთელი სხივი წალიწადი მე-3

მცირელოვანთათვის ნაკადული წალიწ. მე-XXII

უურნალის ს. ს. ს. რ. შველა სკოლეგისათვის სავალდებულოა.

ლენინის სანსელობის სანქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანისანსციის უოველი კოლექცივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული სელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სანსკოთსველოების ვალდებულე-ბას გამოიწერონ:

„წოთელი სხივი“ და „ნაკადული“

ხელის მოწერა მიიღება წლიურად:

- „წოთელი სხივი“ გარგზავნით — 5 მან.
- „ნაკადული“ „ 3 მან. 50 კაპ.
- სალკე ნოგ. „წოთელი სხივი“ — 45 კაპ.
- „ „ „ნაკადული“ — 35 „

მისაგართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 31. განათლების სანსალსო კომისარიატი. „წოთელი სხივი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარკელაქსიო კოლეგია.